

GEO-ქვოაქეზი თბილისი

ანგარიშის რეზიუმე გადაწყვეტილების მიმღებთათვის



GEO-Cities Tbilisi

Executive Summary for Decision-makers

osce



UNEP



ENVSEC
Environment & Security

თბილისი 2011
Tbilisi 2011

GEO-ქალაქები: თბილისი

ანგარიშის რეზიუმე გადაწყვეტილების
მიმღებთათვის

დეკემბერი, 2011

ამ პუბლიკაციის შინაარსი და მასში გამოთქმული შეხედულებები ეკუთვნის ავტორებს და არ უნდა იყოს მიჩნეული პროექტში მონაწილე ორგანიზაციების ან გაერო-ს გარემოსდაცვითი პროგრამის (UNEP) აზრებისა და პოლიტიკის ასახვად ან მათ მიერ სანქცირებულად. პუბლიკაციაში გამოყენებული სახელწოდებები და მასალის წარმოდგენა არანაირად არ ნიშნავს UNEP-ის მხრიდან რაიმე პოზიციის გამოხატვას რომელიმე ქვეყნის, ტერიტორიის, ქალაქის ან მისი ხელისუფლების იურიდიულ სტატუსთან დაკავშირებით, ან მათი საზღვრების დელიმიტაციას. რომელიმე კომერციული კომპანიის ან პროდუქტის მოხსენიება არ უნდა ჩაითვალოს UNEP-ის მიერ მათ მხარდაჭერად.

აქ მოყვანილი თვალსაზრისები, მონაცემები, ინტერპრეტაცია და დასკვნები ეკუთვნის ავტორებს და არ უნდა ჩაითვალოს ეუთო-ს ან მისი წევრი ქვეყნების პოზიციად ან პოლიტიკურ კურსად. პუბლიკაციაში გამოყენებული სახელწოდებები და მასალის წარმოდგენა არანაირად არ ნიშნავს ეუთო-ს მხრიდან რაიმე პოზიციის გამოხატვას რომელიმე ქვეყნის, ტერიტორიის, ქალაქის ან მისი ხელისუფლების იურიდიულ სტატუსთან დაკავშირებით, ან მათი საზღვრების დელიმიტაციას. ეუთო არ იღებს არანაირ პასუხისმგებლობას ნებისმიერ ზარალზე ან ზიანზე, რაც შეიძლება გამოიწვიოს ამ პუბლიკაციაში მოცემულ ინფორმაციაზე დაყრდნობამ.

შინაარსი:

1. შესავალი.....	5
2. თბილისის გარემოს ცვლილების გამომწვევი ძალები	7
2.1. თბილისის პოლიტიკური და ინსტიტუციური სტრუქტურა.....	7
2.2. დემოგრაფია და მიგრაცია.....	8
2.3. ეკონომიკური ასპექტები: ტენდენციები და სტრუქტურული ცვლილებები.....	8
2.3.1. მრეწველობა	8
2.3.2. მშენებლობა	9
2.3.3. ვაჭრობა	9
2.3.4. ტურიზმი	9
2.3.5. სოფლის მეურნეობა.....	9
2.4. სოციალური ასპექტები: სოციალური სერვისების მიმოხილვა, დასაქმება და სიღარიბე	9
2.4.1. საზოგადოებრივი ჯანმრთელობა და განათლება	9
2.4.2. სიღარიბე და უმუშევრობა	10
2.5. ურბანული ზრდა.....	10
2.6. ურბანული ინფრასტრუქტურა	10
2.6.1. ენერჯეტიკა	10
2.6.2. ტრანსპორტი.....	11
2.6.3. წყალმომარაგება და წყალარინება	12
2.6.4. მყარი ნარჩენების მართვა	12
2.7. თბილისის გარემოსდაცვითი მმართველობა.....	12
3. გარემოსდაცვითი საკითხების სექტორული ანალიზი	13
3.1. ჰაერის დაბინძურება.....	13
3.2. წყალმომარაგება და წყალარინება	15
3.3. ნარჩენების მართვა	17
3.4. მწვანე საფარი	19
3.5. ხმაური	21
3.6. რადიაციული უსაფრთხოება	22
3.7. სტიქიური მოვლენები	23
3.8. კლიმატის ცვლილება	24
4. პოლიტიკის ალტერნატივები	26
4.1. პრიორიტეტული გარემოსდაცვითი საკითხები	26
4.2. მონაცემთა ნაკლებობა და პოლიტიკის ნაკლოვანებები.....	26
4.3. პოლიტიკის სპეციფიური რეკომენდაციები.....	29
4.3.1. ატმოსფერული ჰაერი.....	29
4.3.2. წყალმომარაგება და წყალარინება	30
4.3.3. ნარჩენები	30
4.3.4. მწვანე საფარი	31
4.3.5. ხმაური	32
4.3.6. სტიქიური მოვლენები	32
4.3.7. გარემოსდაცვითი მმართველობა	32
4.3.8. საერთაშორისო ქსელები და ფორუმები	32
4.4. გარემოსდაცვითი პოლიტიკის სარგებელი – რატომ უნდა გახდეს თბილისი უფრო მწვანე ქალაქი?	33
გამოყენებული ლიტერატურა	35

აბრევიატურები

BOD	ბიოლოგიური მოთხოვნა ჟანგბადზე
CEO	კავკასიის გარემოსდაცვითი მიმოხილვა
DPSIR	გამომწვევი ძალები-ზემოქმედი ფაქტორები-მდგომარეობა-ზეგავლენა-ქმედებები
ENVSEC	გარემო და უსაფრთხოების ინიციატივა
GEO	გლობალური გარემოსდაცვითი შეფასება
GIS	გეოგრაფიული საინფორმაციო სისტემა
GPS	გლობალური პოზიციონირების სისტემა
GWP	”ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერ”
OSCE	ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია
IEA	ინტეგრირებული გარემოსდაცვითი შეფასება
PAH	პოლიარომატული ნახშირწყალბადი
PM	მტვრის წვრილი ნაწილაკები
UNDP	გაეროს განვითარების პროგრამა
UNEP	გაეროს გარემოსდაცვითი პროგრამა
VOC	აქროლადი ორგანული ნაერთები
WHO	მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაცია
მშპ	მთლიანი შიდა პროდუქტი

1. შესავალი

დიდი ქალაქებისათვის მოსახლეობის უკონტროლო ზრდა და არაეფექტური ურბანული დაგეგმარება უმნიშვნელოვანეს გარემოსდაცვით და უსაფრთხოების რისკებს უკავშირდება. სულ უფრო მეტად ხდება იმის გაცნობიერება, რომ სწორი ურბანული გარემოსდაცვითი დაგეგმარება და მართვა მნიშვნელოვანია ქალაქის ძირითადი გარემოსდაცვითი გამოწვევების საპასუხოდ. ეფექტური და ქმედითი გარემოსდაცვითი მართვისათვის აუცილებელია ქალაქის გარემოს მდგომარეობის შესახებ სრულყოფილი ინფორმაციის ფლობა. ურბანული გარემოს ძირითადი კომპონენტების დეტალური ანალიზი, როგორცაა: ჰაერი, წყალი, ნარჩენები, ენერჯია, მწვანე საფარი, ადამიანის ჯანმრთელობა, ტრანსპორტი და სოციო-ეკონომიკური განვითარების მიმართულებები საშუალებას აძლევს ქალაქის ადმინისტრაციას უკეთ გაიგოს პრობლემები და მათი გამომწვევი მიზეზები, დაადგინოს საჭიროებები და მოახდინოს განსახორციელებელი ქმედებების პრიორიტეზაცია მათი უკიდურესი აუცილებლობიდან გამომდინარე.

მეთოდოლოგია GEO-ქალაქების ანგარიშებისათვის შემუშავდა 2000-ანი წლების დასაწყისში, როგორც სახელმძღვანელო ინტეგრირებული გარემოსდაცვითი შეფასების (IEA) მომზადებისათვის მუნიციპალურ დონეზე. სახელწოდება 'GEO-ქალაქები' გულისხმობს UNEP-ის გლობალური გარემოსდაცვითი მიმოხილვის (Global Environmental Outlook) მიდგომას, მისადაგებულს ქალაქის დონისათვის. GEO მიდგომა მოიცავს ინტეგრირებული გარემოსდაცვითი შეფასების (IEA) მეთოდოლოგიას და ასევე, სახელმძღვანელოებს გარემოს მდგომარეობის ანგარიშების, გარემოსდაცვითი პოლიტიკისა და მმართველობისათვის. GEO მიდგომა გამოიყენება გარემოს მდგომარეობისა და ტენდენციების შეფასებისათვის სხვადასხვა გეოგრაფიულ დონეზე შესაძლებლობათა გაძლიერების პროცესებთან ერთად, რომელიც განკუთვნილია გარემოსდაცვით პოლიტიკაში მონაწილე სხვადასხვა დაინტერესებული მხარეებისათვის.

GEO-ქალაქების პროექტების ძირითადი მიზნებია:

- შექმნას IEA პროცესი, რომელიც ასახავს კავშირს გარემოს პირობებსა და ადამიანის საქმიანობებს შორის;
- ხელი შეუწყოს ადგილობრივი შესაძლებლობების გაძლიერებას ურბანული გარემოს მდგომარეობის ინტეგრირებული შეფასებებისათვის;

- უზუნველყოს კონსენსუსის მიღწევა ყველაზე კრიტიკული გარემოსდაცვითი პრობლემების თაობაზე თითოეულ ქალაქში და შესაძლებელი გახადოს ურბანული სტრატეგიების და გეგმების ჩამოყალიბება და განხორციელება, რაც დაეხმარება ქალაქებს გააუმჯობესონ ურბანული გარემოსდაცვითი მართვა;
- ხელი შეუწყოს ინსტიტუციების ქსელის შექმნას თითოეულ ქალაქში სადაც განხორციელდა შეფასება.

IEA მეთოდოლოგია მოიცავს სამ ელემენტს. ესენია: 1. თეორიული ჩარჩო – გამომწვევი ძალები-ზემოქმედი ფაქტორები-მდგომარეობა-ზეგავლენა-ქმედებები (DPSIR); 2. სცენარების შემუშავება მდგრადი განვითარებისათვის; და 3. გარემოსდაცვითი პოლიტიკის ანალიზი.

DPSIR სტრუქტურა გვეხმარება უკეთესად გავიგოთ გარემოს სიტუაცია მოვლენების მიზეზ-შედეგობრივი ჯაჭვის შექმნის გზით. ის აჩვენებს DPSIR სტრუქტურის სხვადასხვა ელემენტებს შორის არსებულ რთულ ურთიერთობებს, მაგ, როდესაც გარემოს პრობლემა გამოწვეულია სხვადასხვა გამომწვევი ძალებითა და ზემოქმედების ფაქტორებით, ან როგორ შეიძლება კონკრეტულმა გარემოს მდგომარეობამ მოახდინოს სხვადასხვა სახის ზეგავლენა ჰაერზე, ნიადაგზე, წყალზე და სხვ. ეს სტრუქტურა ასევე გვეხმარება დავინახოთ გარემოსდაცვითი პოლიტიკის საპასუხო ქმედებების რამოდენიმე შესაძლო ვარიანტი შემარბილებელი ან ადაპტაციური ღონისძიებებისათვის, რომლებიც მიმართულია DPSIR სტრუქტურის სხვადასხვა ელემენტებისაკენ.

გარდა გარემოს მდგომარეობის და ტენდენციების მრავლისმომცველი ანალიზებისა, IEA-ს აქვს ორი დამატებითი კომპონენტი: სცენარებისა და პოლიტიკის ანალიზი. სცენარები იძლევა მომავლის განჭვრეტის შესაძლებლობას: რა მოხდება თუ გაგრძელდება არსებული ტენდენციები? სხვა რა ალტერნატიული მომავალი არის შესაძლებელი? სცენარების შექმნის მიზანი არის გრძელვადიანი აზროვნების სტიმულირება, ცნობიერების ამაღლება, გადაწყვეტილების მიმღებთა მხარდაჭერა და ცვლილებების სტიმულირება. პოლიტიკის ანალიზი მოიცავს არსებული პოლიტიკის ეფექტურობის და თანმიმდევრულობის შეფასებას, პოლიტიკის არსებული ნაკლოვანებების ანალიზს და რეკომენდაციების შემუშავებას მისი გაუმჯობესებისათვის.

დოკუმენტის სტრუქტურა

შესავლის შემდეგ, ანგარიში მიმოიხილავს DPSIR-ის სტრუქტურის პირველ ორ ელემენტს – გამომწვევ ძალებსა და ზემოქმედ ფაქტორებს.



თბილისის ხედი
თბილისის მერიის ფოტოარქივი

ამ თავში მოკლედ წარმოდგენილია ძირითადი სოციალური სერვისების მიმოხილვა და ძირითადი სოციალური ინდიკატორების ანალიზი, როგორცაა შემოსავლების უთანასწორობა, სიღარიბე და უმუშევრობა. ასევე, განხილულია გარემოზე პირდაპირი ზეწოლის გამომწვევი ფაქტორები, როგორცაა მშენებლობა, ვაჭრობა, ტურიზმი და სოფლის მეურნეობა და გარემოზე ზეწოლა, რომელიც ასოცირდება ურბანულ ინფრასტრუქტურასთან: ენერჯია, ტრანსპორტი, წყალმომარაგება და წყალარინება და ნარჩენების მართვა.

მესამე თავი წარმოადგენს გარემოსდაცვითი საკითხების სექტორულ - ანალიზს DPSIR-ის სტრუქტურის PSIR ელემენტების გათვალისწინებით. ეს თავი განიხილავს: გარემოზე ზეწოლას წარმოდგენილ გარემოსდაცვით კომპონენტებზე; შესაბამის გარემოს მდგომარეობას; გარემოს გაუარესების შედეგად გამოწვეულ ზემოქმედებას; და ქმედებებს - უფლებამოსილი გარემოსდაცვითი ორგანოების მიერ შემუშავებულ და განხორციელებულ შემარბილებელ და ადაპტაციის ღონისძიებებს.

მეოთხე თავი გამოყოფს ყველაზე მნიშვნელოვან გარემოსდაცვით საკითხებს; განიხილავს მონაცემების ნაკლებობასთან დაკავშირებულ პრობლემებს და პოლიტიკის სუსტ მხარეებს და წარმოადგენს სპეციფიურ რეკომენდაციებს თბილისის მდგრადი მომავლისათვის. თავის დასასრულს, მიმოხილულია თუ რა შეიძლება იყოს გარემოსდაცვითი პოლიტიკის სარგებელი, რაც ერთგვარად პასუხს სცემს კითხვაზე, რატომ უნდა იყოს თბილისი მწვანე ქალაქი.

დოკუმენტის სამიზნე ჯგუფი

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს "GEO-ქალაქები თბილისი 2011" ანგარიშის შემოკლებულ ვერსიას. იგი მიზნად ისახავს გადაწყვეტილების მიმღებთ მიაწოდოს სრულ ანგარიშში წარმოდგენილი შედეგების შეჯამებული ვარიანტი, რათა დაეხმაროს მათ მოახდინონ გარემოსდაცვითი

მოსაზრებების ინტეგრირება პოლიტიკის შემუშავების, დაგეგმვის და განხორციელების პროცესში. ანგარიში ასევე მიზნად ისახავს სრულ ანგარიშში წარმოდგენილი შედეგების შეჯამებული ვარიანტი მიაწოდოს საზოგადოებას, რათა უკეთ იქნას გაგებული თბილისში არსებული პრიორიტეტული გარემოსდაცვითი საკითხები და ხელი შეეწყოს გარემოსდაცვით საკითხებში საზოგადოების მონაწილეობას.

კავშირი ძირითად დოკუმენტთან

GEO-ქალაქები თბილისი 2011 ანგარიშის სრული ვერსია წარმოადგენს დედაქალაქის მდგომარეობისა და ტენდენციების დეტალურ ინტეგრირებულ გარემოსდაცვით შეფასებას (IEA). ანგარიში შემუშავდა ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის (OSCE) გარემო და უსაფრთხოების ინიციატივის (ENVSEC) პროექტის ფარგლებში, რომელიც ერთობლივად განხორციელდა ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის (OSCE) და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გარემოსდაცვითი პროგრამის (UNEP) მიერ.

GEO-ქალაქები თბილისი წარმოადგენს თბილისში გარემოს მდგომარეობის დაწვრილებით, მრავალ-დარგობრივ და მრავალთემიან ანალიზს. ის მიზნად ისახავს გააუმჯობესოს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების პროცესი და ხელი შეუწყოს გარემოს ინტეგრირებული შეფასების (IEA), როგორც საკვანძო ინსტრუმენტის დანერგვას, მუნიციპალურ დონეზე ინფორმირებული გადაწყვეტილებების მიღებისას გარემოსდაცვით და თბილისის მოსახლეობის უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ საკითხებზე.

წინამდებარე ანგარიშის რეზიუმე არის "GEO-ქალაქები თბილისი 2011" სრული დოკუმენტის მოკლე ვერსია. იგი წარმოდგენილია მსგავსი სტრუქტურით და მოიცავს ბევრ იმ მასალას რაც მოცემულია სრულ დოკუმენტში, მაგრამ ამ დოკუმენტში ყურადღება უფრო მეტად გამახვილებულია პოლიტიკის ასპექტებზე გადა-

2. თბილისის გარემოს ცვლილების გამომწვევი ძალები

წყვეტილების მიმღებთა და სხვა დაინტერესებული მხარეებისათვის.

მიმდინარე თავში განმარტებულია თბილისის გარემოს ცვლილებების გამომწვევი ძალები და ზემოქმედი ფაქტორები, რომლებიც DPSIR სტრუქტურის პირველ ორ ელემენტს წარმოადგენს. გამომწვევი ძალები ხანდახან მოიხსენიება როგორც გარემოზე ზემოქმედების გამომწვევი არაპირდაპირი ან განმაპირობებელი ძალები. მთავარი გამომწვევი ძალები მოიცავს ისეთ მნიშვნელოვან კატეგორიებს როგორცაა: ეკონომიკური ზრდა, დემოგრაფიული ცვლილება (მოსახლეობის ზრდა ან შემცირება), მოხმარება და მრეწველობის ტენდენციები, მეცნიერული და ტექნოლოგიური ინოვაციები, ბაზრები და ვაჭრობა, ინსტიტუციური და სოციო-პოლიტიკური სისტემები და ღირებულებათა სისტემა. ზემოქმედი ფაქტორები კი მიეკუთვნება შედარებით მცირე კატეგორიებს და ეხება ეკონომიკის სხვადასხვა სექტორებს: ტრანსპორტი, ტურიზმი, მშენებლობა, ვაჭრობა, მრეწველობა, საცხოვრებლით უზრუნველყოფა, ბუნებრივი რესურსების მოპოვება და ა.შ. და მასთან დაკავშირებულ გარემოზე ზემოქმედების მქონე ფაქტორებს წყალსა და ჰაერში ემისიების,

ნარჩენების წარმოქმნის და ა.შ. კუთხით.


2.1. თბილისის პოლიტიკური და ინსტიტუციური სტრუქტურა

საქართველოს დედაქალაქი – თბილისი – მნიშვნელოვანი პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ცენტრია არა მხოლოდ საქართველოში, არამედ კავკასიის რეგიონშიც. თბილისში ადგილობრივი თვითმმართველობა ხორციელდება წარმომადგენლობითი ორგანოს – ქ. თბილისის საკრებულოს და აღმასრულებელ ორგანოთა სისტემის – ქ. თბილისის მერიის საშუალებით.¹ ქ. თბილისის მერია შედგება ქ. თბილისის მთავრობის და ქ. თბილისის რაიონების გამგეობებისაგან.²

თბილისი დაყოფილია ექვს ადმინისტრაციულ რაიონად: ვაკე-საბურთალო, გლდანი-ნაძალადევი, დიდუბე-ჩუღურეთი, ისანი-სამგორი, ძველი თბილისი და დიდგორი. თითოეული რაიონი იყოფა უბნებად, სექტორებად, კვარტლებად და მიკრორაიონებად.

¹ საქართველოს კანონი საქართველოს დედაქალაქის – თბილისის შესახებ, 1998 წლის 20 თებერვალი, მუხლი 4. ² იგივე.

რუკა 2-1 თბილისის ადმინისტრაციული საზღვრები



2.2. დემოგრაფია და მიგრაცია

თბილისი, 1 152 500³ მოსახლეობით, საქართველოს ყველაზე მჭიდროდ დასახლებული ქალაქია. საქართველოს მთლიანი მოსახლეობის 25% თბილისში ცხოვრობს.⁴ დასახლების საშუალო სიმჭიდროვე 1კმ²-ზე 2,300 ადამიანია (2006 წელს თბილისის საზღვრების გაფართოებამდე, მოსახლეობის სიმჭიდროვე 1კმ²-ზე 2,937 ადამიანს შეადგენდა).

1921-1990 წწ. თბილისის მოსახლეობამ დაახლოებით 5,5-ჯერ იმატა და 1992 წლისთვის მაქსიმუმს მიაღწია (1,267 მილიონი ადამიანი). მომდევნო წლებში, გაუსაძლისი სოციალურ-ეკონომიკური პირობების, მასიური უმუშევრობის, პოლიტიკური არასტაბილურობის და ეთნიკური დაძაბულობის გამო დაიწყო მოსახლეობის სხვა ქვეყნებში ემიგრაცია. 1992 წლიდან 2004 წლის ჩათვლით დედაქალაქის მოსახლეობა 15%-ით შემცირდა. საქართველოს ცხინვალისა და აფხაზეთის რეგიონებში 1990-იანი წლების კონფლიქტის და 2008 წლის აგვისტოს რუსეთ-საქართველოს შორის კონფლიქტის შედეგად მოხდა იძულებით გადაადგილებულ პირთა მასიური მიგრაცია. 2010 წლის აგვისტოსთვის, თბილისში დაახლოებით 95 000 იძულებით გადაადგილებული პირი იყო რეგისტრირებული⁵.

უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში შიდა და საერთაშორისო მიგრაციის დონე ერთმანეთს აბალანსებდა, რის გამოც, მოსახლეობის კლება შეჩერდა და მიღწეულ იქნა მცირე ზრდა. თბილისში დროებით ცხოვრობენ, მაგრამ არ არიან რეგისტრირებულნი საქართველოს მრავალი კუთხიდან ჩამოსული პირები. მიუხედავად იმისა რომ დასაქმების საერთო მაჩვენებელი კვლავ დაბალია, დედაქალაქი მაინც იზიდავს ადამიანებს, ვინაიდან იძლევა დასაქმების მეტ შესაძლებლობებს.⁶ გარკვეული შეფასებების მიხედვით, თბილისში მცხოვრებ არარეგისტრირებულ პირთა რიცხვი შეიძლება 200 000 – 300 000-ის ფარგლებში მერყეობდეს.⁷

2.3. ეკონომიკური ასპექტები: ტენდენციები და სტრუქტურული ცვლილებები

თბილისის სამრეწველო ცენტრად ჩამოყალიბება 1950-იან წლებში გაძლიერდა, როცა საბჭოთა

3 საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2010 წ. მონაცემი.

4 გარემოს მდგომარეობა თბილისში, CEROI, 2000 წ. <http://www.ceroi.net/reports/tbilisi/index.htm>

5 საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო.

6 თბილისის ათასწლეულის განვითარების მიზნების ანგარიში, თბილისის მერია, თბილისი, საქართველო, 2007 წ. „შპს პოლიგრაფი“.

7 იგივე.

მმართველობამ ქალაქში საშუალო და დიდი მასშტაბის სამრეწველო ობიექტების აშენება წამოიწყო. ყველაზე მეტად განვითარებული მრეწველობის სექტორები იყო: მძიმე დანადგარების მრეწველობა (სამხედრო მოწყობილობების ჩათვლით), ელექტრონიკა და მიკროელექტრონიკა, მსუბუქი მრეწველობა, საკვები პროდუქტების წარმოება, საფეიქრო მრეწველობა, ფარმაცევტული და პარფიუმერული პროდუქტების წარმოება.

ეკონომიკური აქტივობები რადიკალურად შემცირდა 1990-იანი წლების დასაწყისში სსრკ-ს დაშლის შემდეგ. მრავალმა საწარმომ შეწყვიტა წარმოება. 1990-1994 წლებში, საქართველოში მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) წარმოება თითქმის 65%-ით შემცირდა.⁸

ქვეყანაში და მის დედაქალაქში ეკონომიკური აღორძინება 1995 წლიდან დაიწყო პოლიტიკური სტაბილურობის, პრივატიზების პროცესის დაწყების, ინსტიტუციონალური და სტრუქტურული რეფორმების შედეგად. 2003 წლის „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ, ახალმა მთავრობამ ყოვლისმომცველი ეკონომიკური და ინსტიტუციონალური რეფორმები წამოიწყო, რაც მკვეთრ ეკონომიკურ ზრდაში აისახა. 2005-2007 წლებში მთლიანი შიდა პროდუქტი 9-12%-ით გაიზარდა. 2008 წლის რუსეთთან შეიარაღებული კონფლიქტი და გლობალური ეკონომიკური კრიზისი ქართული ეკონომიკის განვითარებაზე ნეგატიურად აისახა. 2008 წელს მთლიანმა შიდა პროდუქტმა 2.3%-ით დაიკლო და 2009 წელს უარყოფითი ცი იყო (-5.8%). მიუხედავად ამისა, 2010 წელს აღნიშნულმა მაჩვენებელმა 6.4%-ით მოიმატა.⁹

თბილისი წარმოადგენს ქვეყნის ეკონომიკური, კომერციული და ფინანსური მოღვაწეობის ცენტრს. საქართველოში არსებული კომპანიების დაახლოებით 50% თბილისში ფუნქციონირებს.¹⁰ 2007 და 2008 წელს საქართველოში პროდუქციის წარმოების და მომსახურების 64% თბილისზე მოდიოდა. მრეწველობა, მშენებლობა, ვაჭრობა, ტრანსპორტი და ტელეკომუნიკაციები თბილისის ეკონომიკის საფუძველს წარმოადგენენ.

2.3.1. მრეწველობა

თბილისში საწარმოები უმეტესად განთავსებულია მდინარე მტკვრის მარცხენა სანაპიროზე, სარკინიგზო გზის გაყოფებაზე, რომელიც ქალაქს კვეთს ჩრდილო-დასავლეთიდან სამხრეთ-აღმოსავლეთის მიმართულებით.¹¹ ამჟამად,

8 გაეროს განვითარების პროგრამა. ადამიანური რესურსების განვითარების ანგარიში: საქართველო, 1997 წ. გამომცემლობა „ნეკერი“. თბილისი, 1997 წ.

9 საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 21 მარტი 2011.

10 თბილისის მერია - 2010. <http://www.tbilisi.gov.ge>

11 აღმოსავლეთ ნაწილში საწარმოები უფრო ფართო ტერიტორიაზეა გაშლილი

ამ საწარმოების დიდი ნაწილი ან საერთოდ არ ფუნქციონირებს ან მხოლოდ მინიმალური დატვირთვით მუშაობს. შედარებით კარგად განვითარებული სამრეწველო დარგებია ღვინის, სხვა ალკოჰოლური ან არაალკოჰოლური სასმელების, საკვების პროდუქტების (ხორცისა და რძის პროდუქტები, ხილი და ბოსტნეული), ასევე სამშენებლო მასალების (ცემენტი, ასფალტი) წარმოება. დღესდღეობით, საქართველოს სამრეწველო პროდუქტების 45% (ფულადი გამოხატვით), თბილისში იწარმოება.

დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის თანახმად, ძველი საწარმოების დიდი ნაწილი გაუქმდება ან მოხდება მათი გადატანა თბილისის აღმოსავლეთ გარეუბნებში.

2.3.2. მშენებლობა

თბილისში მშენებლობა ყველაზე სწრაფად მზარდი ეკონომიკური სექტორი გახდა ბოლო 10-15 წლის განმავლობაში. თბილისის მუნიციპალური მთავრობა ხელს უწყობს ამ დარგის განვითარებას, რაც გამოიხატება ხელსაყრელი საინვესტიციო პირობების უზრუნველყოფაში და ნებართვის გაცემის პროცედურების გამარტივებაში.¹²

დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცებით¹³ ქალაქში შემოგარენში არსებულ მიწების დიდ ნაწილს, მეტწილად ახლად შემოერთებულ ტერიტორიებს, რომელთაც ადრე სასოფლო-სამეურნეო და სარეკრეაციო დანიშნულება ჰქონდათ, საცხოვრებელი ტერიტორიის სტატუსი მიენიჭა, რითაც შესაძლებელია სამშენებლო სამუშაოების ჩატარება. ამრიგად, მშენებლობის სექტორის გაფართოება ხშირად მწვანე საფარის განადგურებას უკავშირდება. მშენებლობასთან ასოცირებული სხვა გარემოსდაცვითი პრობლემებია მტვერი და ხმაური.

2.3.3. ვაჭრობა

თბილისი საქართველოს მთავარი სავაჭრო ცენტრია. ძირითადი საცალო ვაჭრობის მაღაზიები თუ ბაზრობები სწორედ დედაქალაქშია თავმოყრილი. თბილისში დასაქმებული ადამიანების მნიშვნელოვანი წილი (20-25%) სავაჭრო სექტორშია ჩართული.¹⁴ ბოლო წლებში შეინიშნებოდა თბილისში დარეგისტრირებული კომპანიების მიერ განხორციელებული საგარეო ვაჭრობის მყარი ზრდა. 2002-2008 წლების პერიოდში იმპორტმა 9 კოეფიციენტით მოიმატა, ხოლო ექსპორტი 5 კოეფიციენტით გაიზარდა.

12 თბილისის მერია - 2010 წ. <http://www.tbilisi.gov.ge>
13 2009 წლის, 5 ივნისის №6-17 გადაწყვეტილება, თბილისის საკრებულოს მიერ დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალურ გეგმაზე ხელის მოწერის შესახებ.
14 თბილისის მერია. თბილისის ეკონომიკური განვითარების გეგმა. ადგილობრივი ეკონომიკის შეფასება, 2007 წ. <http://www.tbilisi.gov.ge/>

თბილისში საწვავი და მსგავსი პროდუქცია საერთო იმპორტის 47%-ს შეადგენს. მას მოსდევს სატრანსპორტო საშუალებები - 19%, შემდეგ ადგილზეა საწვავი გაზი და ნახშირწყალბადები - 15%. 2008 წელს საქსპორტო საქონლის ძირითადი ჯგუფები იყო: ახალი და ნახმარი ავტომობილები (ევროპიდან, იაპონიიდან და აშშ-დან იმპორტირებული ავტომობილები, რომლებიც შემდეგ ექსპორტირდება საქართველოდან სომხეთსა და აზერბაიჯანში) - 21%; და სასუქები და ქიმიური პროდუქტები - 20%.

2.3.4. ტურიზმი

დღესდღეობით, ტურიზმი ეკონომიკის ძლიერი და მზარდი დარგია. მშპ-ში ტურიზმის წილი დაახლოებით 4%-ია.¹⁵ სასტუმროებში რეგისტრაციების მიხედვით, საქართველოში ჩამოსული ტურისტების 46% დედაქალაქზე მოდის.¹⁶ ქალაქში იზრდება პატარა და დიდი სასტუმროების რიცხვი. ზოგადად, ტურიზმი გარემოზე დამატებითი ზეგავლენის გამომწვევი ფაქტორია. დღემდე არ არის შესწავლილი თბილისის გარემოზე ტურიზმის განვითარების შესაძლო ზეგავლენა.

2.3.5. სოფლის მეურნეობა

ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში თბილისის გარეუბნებში სასოფლო-სამეურნეო წარმოება საგრძნობლად შემცირდა. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ მოწოდებული მონაცემების თანახმად, თბილისში სოფლის მეურნეობის მთლიანი დამატებითი ღირებულება 2009 წლისათვის 1 მლნ. ლარი შეადგინა. თუმცა, მთლიანობაში, ინფორმაცია ქალაქში და მის შემოგარენში მიმდინარე სასოფლო-სამეურნეო აქტივობების და ასევე, მათი გარემოზე შესაძლო ზეგავლენის შესახებ ძალზე მწირია.

2.4. სოციალური ასპექტები: სოციალური სერვისების მიმოხილვა, დასაქმება და სიღარიბე

2.4.1. საზოგადოებრივი ჯანმრთელობა და განათლება

საქართველოში მოსახლეობის ბოლო, 2002 წლის აღრიცხვით, თბილისის მოსახლეობის 45.1% მამაკაცი, ხოლო 54.8% - ქალი იყო. მოსახლეობის საშუალო ასაკი 35.8 წელი გახლდათ. მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის (WHO) თანახმად, ქვეყნის მასშტაბით 2006 წელს მამაკაცების სი-

15 საქართველოს ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი.
16 თბილისი - ქალაქის განვითარების სტრატეგია - ქალაქის პროფილი, 2011 წ.

ცოცხლის ხანგრძლივობა საშუალოდ 66 წელი იყო, ხოლო ქალების – 74. დღეისათვის, თითქმის ყველა ჯანდაცვის პროვაიდერი კერძო სექტორს წარმოადგენს, გარდა ტუბერკულოზის ცენტრის, ინფექციური დაავადებების და ფსიქიატრიული საავადმყოფოების და ასევე, ჯანდაცვის სისტემის სხვადასხვა სახელმწიფო პროგრამებისა, რომლებიც სპეციფიური დაავადებების მკურნალობას ეხება. საქართველოს ჯანდაცვის სისტემის დაფინანსების ძირითადი წყარო ისევ ნაღდი ფულადი ანგარიშსწორება რჩება.

ქვეყანაში რამდენიმე კერძო კომპანიაა, რომლებიც სამედიცინო დაზღვევის საფასურის დაფარვას უზრუნველყოფს, მაგრამ რამდენადაც უმუშევრობის დონე ჯერ კიდევ მაღალია, ხოლო საშუალო ოჯახის შემოსავალი საკმარისად დაბალი, მრავალ ადამიანს დაზღვევის საფასურის გადახდა არ შეუძლია.¹⁷

საქართველოს მთავარი უნივერსიტეტები და აკადემიური დაწესებულებები თბილისშია თავმოყრილი. მათ შორისაა საჯარო და კერძო სასწავლებლები, სადაც ბაკალავრისა და მაგისტრის წოდების მიღებაა შესაძლებელი. აღსანიშნავია, რომ ბოლო ათი წლის განმავლობაში კერძო საშუალო სკოლების რიცხვმა თბილისში მნიშვნელოვნად იმატა.¹⁸

2.4.2. სიღარიბე და უმუშევრობა

საქართველოში და მის დედაქალაქში სიღარიბისა და უმუშევრობის დონე მაღალია. თუმცა, სპეციფიკური სტატისტიკური მონაცემები თბილისში სიღარიბის დონის შესახებ არ არსებობს. ოფიციალური მონაცემების მიხედვით, ბოლო 5 წლის განმავლობაში უმუშევრობის დონე დედაქალაქში დაახლოებით 30% შეადგენდა.¹⁹ თუმცა, უმუშევრობის რეალური მაჩვენებელი უფრო მაღალი უნდა იყოს.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების მიხედვით, თბილისში, 2009 წელს საშუალო თვიური შემოსავალი ერთ სულზე 168 ლარი (დაახლოებით 100 დოლარი) იყო, ხოლო საშუალო მომხმარებლისათვის თვიური საარსებო მინიმუმი – 115 ლარი (დაახლოებით 66 აშშ დოლარი).²⁰ თვიური შემოსავალი ერთ სულზე ოფიციალურად რეგისტრირებულ სოციალურად დაუცველ პირებს შორის 2006 წელს 31.1 ლარს შეადგენდა, რაც იმ წლის საარსებო მინიმუმის მხოლოდ 32.5% წარმოადგენდა.²¹ თბილისის

17 დაზღვევის საფასური სადაზღვევო კომპანიების მიერ დაკისრებული ფულის ოდენობა გახლავთ.

18 თბილისის ათასწლეულის განვითარების მიზნების ანგარიში, თბილისის მერია, თბილისი, საქართველო, 2007 წ. „შპს პოლიგრაფი“.

19 საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური.

20 საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური განსაზღვრავს ყოველთვიურ საარსებო მინიმუმს საშუალო მომხმარებლისთვის.

21 თბილისის მერია. თბილისის ეკონომიკური განვითარების გეგმა. ადგილობრივი ეკონომიკის შეფასება, 2007 წ. <http://www.tbilisi.gov.ge/>

მოსახლეობის დაახლოებით 1/5 სახელმწიფო პენსიას იღებს. პენსიები თვეში საშუალოდ 90-100 ლარს (52-57 აშშ დოლარი) შეადგენს.²²

Gini კოეფიციენტი ნაღდი ფულის შემოსავლების მიხედვით, რაც შემოსავლების თანასწორობას ზომავს, 2008 წელს საქართველოში საშუალოდ 0.52 იყო.²³ თბილისისთვის არათანაბარი შემოსავლების შესახებ სტატისტიკური მონაცემები არ არსებობს. მაგრამ ზოგადად შეიძლება ითქვას, რომ შემოსავლების უთანასწორობა თბილისში მაღალია. თუმცა, ღარიბი მოსახლეობა არ არის კონცენტრირებული ქალაქის რომელიმე კონკრეტულ უბნებში.

2.5. ურბანული ზრდა

სწრაფი ურბანიზაციის მეორე ტალღა XX საუკუნის მეორე ნახევარში აღინიშნა (1950-იანი წლებიდან 1980-იან წლებამდე), როცა აშენდა საწარმოები და ქალაქში მოხდა დამატებითი სამუშაო ძალის მიგრაცია. 1990 წლისთვის სამრეწველო ტერიტორიები თბილისის დასახლებული ფართობის 17,4%-ს მოიცავდა.²⁴ ამავე პერიოდში აშენდა გლდანი, მუხიანი, ვაზისუბანი, დიდი დილომი და სხვა უბნები. თითოეული 100 000-ზე მეტ მობინადრეზე იყო გათვლილი. აღნიშნული უბნები ხშირად ისეთ მნიშვნელოვან სასოფლო-სამეურნეო მიწებს იკავებდა, რომლებიც ადრე დედაქალაქს სოფლის პროდუქტებით ამარაგებდა.

ბოლო წლებში დასახლების გაფართოება უფრო ვაკე-საბურთალოს (ბაგების მიდამოები) და წყნეთის ტერიტორიებზე შეინიშნება. აღნიშნული პროცესი ტყით დაფარული მიწების გასუფთავებისა და გამწვანებული ადგილების გამოყენების ხარჯზე ხდება. 2006 წელს საქართველოს პარლამენტმა თბილისის ახალი ადმინისტრაციული საზღვრები დაადგინა. ახალი საზღვრების მიხედვით ქალაქის შემოგარენში განლაგებული ზოგიერთი სოფელი, რომელიც სარეკრეაციო ზონად ითვლებოდა, დედაქალაქს შეუერთდა. აქედან გამომდინარე, თბილისის ფართობი 378 კმ²-დან 500 კმ²-მდე გაიზარდა.

2.6. ურბანული ინფრასტრუქტურა

2.6.1. ენერჯეტიკა


თბილისი ელექტროენერჯით მარაგდება რამდენიმე ჰიდროელექტროსადგურიდან, რომლებიც ქალაქში ან მის შემოგარენშია განლაგებული და დედაქალაქის სამხრეთ-აღმოსავლეთით, ქ. გარდაბანში არსებული თბოელექტროსადგურიდან. სს „თელასი“ დაახლოებით 2 მილიარდი კვტ/

22 საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური.

23 Gini-ის კოეფიციენტი არათანაბარი განაწილების საზომია, 0 გამოხატავს მთლიან თანასწორობას, ხოლო 1 – მაქსიმალურ უთანასწორობას.

24 თბილისის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმა, 2009 წ. თბილისის მერია. <http://www.tbilisi.gov.ge/>

რუკა 2-2 თბილისის ზრდის ძირითადი ეტაპები



სთ ელექტროენერჯის დისტრიბუციას ახდენს წელიწადში 416 500 ინდივიდუალურ, სახელმწიფო და კომერციულ მომხმარებელზე (საცხოვრებელი სახლების, სახელმწიფო სექტორის, საწარმოების, სატრანსპორტო და კომერციული ორგანიზაციების ჩათვლით). საოჯახო სექტორი თბილისის ელექტროენერჯის მთავარი მომხმარებელია. თბილისის მეტროპოლიტენი კი ყველაზე მსხვილი ცალკეული მომხმარებელი. 1990-იან წლებში არსებული ენერგოკრიზისის შემდეგ, ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში თბილისში მოხერხდა დენის 24 საათიანი მიწოდების უზრუნველყოფა. თუმცა, ენერგოდისტრიბუციის ქსელი ჯერ კიდევ არასახარბიელო მდგომარეობაშია, რაც გამანაწილებელ ქსელში 17-20%-იან დანაკარგებში აისახება.

თბილისის ძირითადი ნაწილი მარაგდება ბუნებრივი აირით. თბილისში ბუნებრივი აირის მიწოდებას შპს „ყაზტრანსგაზი“ უზრუნველყოფს. საცხოვრებელ სახლებში ბუნებრივ აირს გასათბობად და საკვების მოსამზადებლად იყენებენ, ხოლო კომერციულ და სახელმწიფო შენობებში - გასათბობად. გარდა ამისა, სამრეწველო და კომერციული ობიექტები ბუნებრივ აირს საწვავად ხმარობენ. ქალაქში ბუნებრივი აირის მოხმარების ზრდის ტენდენცია შეინიშნება. ბუნებრივი აირის მთავარ მომხმარებელს საოჯახო სექტორი წარმოადგენს.

გათბობასთან და გაზის მოხმარებასთან დაკავშირებული გარემოზე და ჯანმრთელობაზე ზეგავლენის მქონე ფაქტორები შესწავლილი ან აღრიცხული არ არის. თუმცა, ცნობილია, რომ არსებობს გაზით მოწამვლის და სიკვდილის შემთხვევებიც კი, რაც შენობაში ჰაერის დაბინძურების (ნახშირუხანგის გამოყოფა) და სახლებში გაზის მოწყობილობებიდან ბუნებრივი აირის გაჟონვის შედეგი იყო. ასევე აღსანიშნავია, რომ არსებობს მნიშვნელოვანი დანაკარგები გაზის სადისტრიბუციო ქსელშიც.

2.6.2. ტრანსპორტი

ავტობუსი, სამარშრუტო ტაქსი, ტაქსი, მეტრო და რკინიგზა წარმოადგენს მუნიციპალურ ტრანსპორტს თბილისში. ტაქსები კერძო კომპანიების მფლობელობაშია, ხოლო დანარჩენი სახის ტრანსპორტის მართვას ქალაქის მუნიციპალიტეტი ახორციელებს. ამჟამად თბილისში მიმდინარეობს საზოგადოებრივი ტრანსპორტის ოპტიმიზაცია და ხდება სამარშრუტო ტაქსების სერვისების გაუმჯობესება. ასევე დაიწყო რკინიგზის მოდერნიზაციის პროექტიც. დღესდღეობით, თბილისში ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების მთავარი წილი სწორედ სატრანსპორტო სექტორზე მოდის. ამასთან, იგი ასევე წარმოადგენს ქალაქში ხმაურის ძირითად წყაროსაც.



თბილისის ავტობარკი
თბილისის მერიის ფოტოარქივი



თბილისის მეტროპოლიტენი
თბილისის მერიის ფოტოარქივი

2.6.3. წყალმომარაგება და წყალარინება

თბილისსა და მის შემოგარენში მტკნარი წყლის რესურსები სხვადასხვა მიზნებისთვის გამოიყენება და მისი ამოღება ხდება როგორც ზედაპირული, ისე მიწისქვეშა წყაროებიდან. ამოღებული წყლის უდიდესი ნაწილი გამოიყენება მუნიციპალური/საყოფაცხოვრებო (სასმელი წყლის მიწოდება და კომუნალური საჭიროებები) და ენერგეტიკის სექტორების მიერ. სხვა მსხვილი წყალმომხმარებლებია: მრეწველობა, ტრანსპორტი, ირიგაცია, რეკრეაცია, სათევზე მეურნეობა და ა.შ.²⁵

დედაქალაქსა და მის შემოგარენში სასმელი წყლის მოპოვებას, გაწმენდასა და მომხმარებელამდე ტრანსპორტირებას, აგრეთვე ჩამდინარე და სანიაღვრე წყლების არინებასახორციელებს კერძო კომპანია „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერ“ (GWP). წყალმომარაგება ბოლო წლების განმავლობაში გაუმჯობესდა, როგორც ხარისხის სტანდარტების, ისე მომარაგების გრაფიკის თვალსაზრისით. თუმცა, ჯერ კიდევ პრობლემად რჩება მუნიციპალური ჩამდინარე წყლების გაწმენდა. გაუწმენდავი ურბანული ჩამდინარე წყლები ამჟამად მდ. მტკვრის ძირითადი დაბინძურების წყაროა.

2.6.4. მყარი ნარჩენების მართვა

2006 წლიდან საყოფაცხოვრებო მყარი ნარჩენების მართვა თბილისში მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა. ამჟამად, დასუფთავების მომსახურება ფარავს მოსახლეობის 100%-ს, ახლად შემოერთებული ტერიტორიების ჩათვლით. მცირე ხნის წინ ამუშავდა ახალი სანიტარიული ნაგავსაყრელი. თუმცა, ჯერ კიდევ არსებობს პრობლემები სხვა სახის, კერძოდ, სამრეწველო და სამედიცინო ნარჩენების მართვის კუთხით.

თბილისში ნარჩენების სექტორთან დაკავშირებულ ძირითად გარემოსდაცვით პრობლემას ძველი ნაგავსაყრელები წარმოადგენენ, რომლებიდანაც გარემოში კვლავ გამოიყოფა მავნე ნივთიერებები. ასევე, სავარაუდოდ, ხდება სახიფათო ნარჩენების გარემოში მოხვედრა სამედიცინო და სხვა სახის ნარჩენებიდან.

25 მონაცემები მოწოდებულია საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტროს წყლის რესურსების სამმართველოს მიერ, თბილისი, 2010 წ.

2.7. თბილისის გარემოსდაცვითი მმართველობა

საქართველოში პირველი სახელმწიფო გარემოსდაცვითი ორგანო — ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტი 1975 წელს შეიქმნა. მისი ძირითადი ფუნქცია იყო ბუნების დაცვის სფეროში სახელმწიფო კონტროლის განხორციელება და დარგთაშორისი კოორდინაცია. ადგილობრივ დონეებზე ანალოგიურ სამუშაოებს ატარებდა ზონალური ინსპექციები და ჰიდროქიმიური ლაბორატორიები. 1976 წელს თბილისში ჩამოყალიბდა თბილისის ზონალური ინსპექცია. სამსახურის ფუნქციების ზრდასთან ერთად, მისი სტატუსი შეიცვალა და 1989 წელს იგი ჩამოყალიბდა როგორც ქ. თბილისის მერიის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების რეგულირების კომიტეტი. 2005 წელს ეს სამსახური გაუქმდა და შესაბამისი მანდატი საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტროს გადაეცა. იგეგმებოდა გარემოს დაცვის სამინისტროს თბილისის რეგიონული დეპარტამენტის შექმნა, თუმცა ეს გეგმა არ განხორციელებულა.

ამჟამად, დედაქალაქში გარემოს დაცვის სფეროში სრულფასოვანი მანდატის მქონე სამსახური არ არსებობს. გარემოსთან დაკავშირებული ზოგიერთი სფერო, მაგალითად ტრანსპორტი და ნარჩენები თბილისის მერიის შესაბამისი სამსახურების კომპეტენციაში შედის. წყალმომარაგების და წყალარინების ინფრასტრუქტურას ფლობს და მართავს კერძო წყლის სერვისების კომპანია. გარემოსდაცვითი ნებართვების გაცემა, აღსრულება და გარემოს მონიტორინგი წარმოებს ეროვნულ დონეზე, გარემოს დაცვის სამინისტროს მიერ. 2009 წელს შეიქმნა ქ. თბილისის მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახური, რომელიც პასუხისმგებელია თბილისის გამწვანების დაგეგმვაზე, განხორციელებასა და მოვლაზე.²⁶ თუმცა, სამსახურის ფუნქციები ძირითადად გამწვანებით შემოიფარგლება და გარემოსთან დაკავშირებულ სხვა სფეროებზე არ ვრცელდება.

26 ქ. თბილისის მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახურის დებულება, დამტკიცებულია ქ. თბილისის მერიის ბრძანებით 2009 წლის 27 ივლისის ბრძანებით №38.

3. გარემოსდაცვითი საკითხების სექტორული ანალიზი

ეს თავი მოიცავს თბილისის გარემოს ყველაზე მნიშვნელოვანი კომპონენტების მიმოხილვას, როგორცაა ჰაერის დაბინძურება, წყალმომარაგება და წყალარინება, მყარი ნარჩენების მართვა, მწვანე საფარი, ხმაური, რადიაციული უსაფრთხოება, სტიქიური მოვლენები და კლიმატის ცვლილება. თითოეული კომპონენტი წარმოდგენილია DPSIR სტრუქტურის ოთხი ელემენტის ჭრილში – ზემომქმედი ფაქტორები, გარემოს მდგომარეობა, ზეგავლენა და ქმედებები.

ზემომქმედი ფაქტორები ის საწყისი წერტილია, საიდანაც უნდა დაიწყოს გარემოსდაცვითი პრობლემების გადაჭრა. ზემომქმედი ფაქტორების გამოვლენა გულისხმობს შემდეგ კითხვაზე პასუხის გაცემას: **რა მიზეზებით არის გამოწვეული გარემოზე ზეგავლენა და ეკოლოგიური ცვლილებები?** გარემოს მდგომარეობა გულისხმობს ზემომქმედი ფაქტორებით გამოწვეულ გარემოს პირობებს. ის პასუხობს კითხვას **რა ემართება გარემოს?** მიმდინარე თავში აღწერილია გარემოს დაბინძურების ახლანდელი მდგომარეობა და შეძლებისდაგვარად მოყვანილია გარემოს მდგომარეობის ცვლილების ტენდენციები დროის პერსპექტივაში. ზემომქმედი ფაქტორებისა და გარემოს მდგომარეობის შემდეგ, წარმოდგენილია ინფორმაცია იმ ზეგავლენების შესახებ, რასაც გარემოს მდგომარეობა ახდენს ბუნებრივ ეკოსისტემებზე და ადამიანის ჯანმრთელობაზე. ეს ინფორმაცია გვეხმარება პასუხი გავცეთ კითხვას: **რა არის გარემოს მდგომარეობის შედეგები?** თავის ბოლოს წარმოდგენილია ინფორმაცია იმ ღონისძიებების შესახებ, რომლებიც მიზნად ისახავს გარემოზე უარყოფითი ზემოქმედების პრევენციას ან შემცირებას, გარემოზე მიყენებული ზიანის შერბილებას და აღდგენას და ადგილობრივი მოსახლეობის ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებას. ის პასუხობს კითხვაზე **რა კეთდება გარემოსდაცვითი პრობლემების შერბილების ან აღმოფხვრისათვის?** კონკრეტული რეკომენდაციები გარემოს თითოეული კომპონენტისათვის წარმოდგენილია დოკუმენტის მე-4 თავში.

3.1. ჰაერის დაბინძურება

ზემომქმედი ფაქტორები და გარემოს მდგომარეობა

ოფიციალური მონაცემები მოწმობს, რომ ჰაერის ხარისხი თბილისში ქალაქის მრავალ ადგილას, განსაკუთრებით კი ცენტრალურ უბნებში, არ შეესაბამება ეროვნულ სტანდარტებს და ჰაერის დაბინძურება თითქმის მთლიანად

ავტოტრანსპორტთან არის დაკავშირებული.²⁷ ტრანსპორტით ჰაერის დაბინძურება ძირითადად გამოწვეულია 1) ტრანსპორტის რაოდენობის გაზრდით; 2) საგზაო მოძრაობის არასათანადო ორგანიზებითა და მართვით; 3) საწვავის დაბალი ხარისხით; და 4) ავტოსატრანსპორტო საშუალებების გაუმართაობით.

ჰაერის დაბინძურებამ **სამშენებლო სექტორიდან** მომდინარე ამ სექტორში საქმიანობის გაზრდის გამო. უფრო მეტიც, **საცხოვრებელი ტერიტორიების გაფართოება** თბილისში და მის გარშემო, რაც ხშირად **ხეების და მწვანე საფარის განადგურების** ხარჯზე ხდება, უარყოფით ზემოქმედებას ახდენს ქალაქში ჰაერის ხარისხზე. ასევე, ახალი ნაგებობების მშენებლობა, განსაკუთრებით მდინარე მტკვარის ხეობის გასწვრივ და ასევე მთისწინებზე, ხელს უშლის ქალაქში ქარისა და ჰაერის მოძრაობას, რაც თბილისში ჰაერის გასუფთავების ბუნებრივი გზას წარმოადგენს და გავლენას ახდენს დედაქალაქში კლიმატის ფორმირებაზე.

დღესდღეობით, **მრეწველობა** დიდ ზეგავლენას არ ახდენს ჰაერის ხარისხზე. თუმცა, საწარმოებში ფილტრების ცუდი მდგომარეობის ან არქონის გამო გარემოში ხვდება საწარმოო პროცესებში წარმოქმნილი სხვადასხვა დამაბინძურებელი, როგორცაა SO₂, NOx, CO და ნახშირწყალბადები.

მიუხედავად იმისა, რომ თბილისის ძველი **ნავსაყრდენი** – გლდანი და იაღლუჯა აღარ იღებს ნარჩენებს, დაგროვილი ნარჩენების წვის გამო ისინი მაინც რჩება ჰაერის დაბინძურების მნიშვნელოვან წყაროდ. მაგნი ნივთიერებების გამოყოფა წლების მანძილზე ჯანმრთელობის რისკებს უქმნიდა თბილისის, რუსთავისა და მიმდებარე დასახლებების მოსახლეობას. გარდა ამისა, გარემოში გამოიყოფა სათბურის ეფექტის მქონე აირები, როგორცაა ნახშირორჟანგი და მეთანი.

გაზის მომარაგების ინფრასტრუქტურის გაუმართაობის გამო, მნიშვნელოვანი დანაკარგი შეინიშნება გაზის სადისტრიბუციო ქსელიდან, რის გამოც ხდება მეთანის გარემოში გაჟონვა. გაზის გაჟონვის შედეგად დანაკარგი საშუალოდ 20-25%-ს შეადგენს.

ზეგავლენა

ჰაერის დაბინძურების ყველაზე მნიშვნელოვანი ზეგავლენა თბილისის კონტექსტში ადამიანის ჯანმრთელობაზე გამოწვეული უარყოფითი

²⁷ ეს მონაცემები მოიცავს ემისიას საწარმოებიდან და ავტომობილებიდან. ემისია სხვა სექტორებიდან, მაგ. მშენებლობა, ნავსაყრდენები, არ არის ჩართული.

ეფექტია. გამონაბოლქვი აირები 200-ზე მეტ სხვადასხვა ძლიერტოქსიკურ ქიმიურ ნაერთს შეიცავს, რომლებიც იწვევენ ისეთ დაავადებებს როგორცაა ასთმა, პლევრიტი, ფილტვის ონკო-დაავადებები, სტრესი, ფსიქიური აშლილობები და სხვა.²⁸ პირდაპირი კავშირის დადგენა ჰაერის დაბინძურებასა და ადამიანის ჯანმრთელობის მდგომარეობას შორის მოითხოვს ჰაერის ხარისხზე გრძელვადიან დაკვირვებას და სპეციფიურ ეპიდემიოლოგიურ გამოკვლევას. ამგვარი სახის კვლევები საქართველოში დიდი ხნის განმავლობაში არ ჩატარებულა. თუმცა, დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის სტატისტიკური მონაცემები მეტყველებს იმაზე, რომ რეგისტრირებულ ავადმყოფობათა რიცხვი, რომლებიც შესაძლოა, დაკავშირებული იყოს დაბინძურებულ ჰაერთან - ფილტვისა და ხორხის კიბო, სასუნთქი გზებისა და სისხლძარღვოვანი დაავადებები - საქართველოში, და განსაკუთრებით მის დედაქალაქში, სულ უფრო იზრდება.²⁹ საყურადღებოა ისიც, რომ აღრიცხულ დაავადებათა რიცხვი უფრო მაღალია თბილისში საქართველოს საშუალო მაჩვენებელთან შედარებით.

1995-2002 წლებში ჩატარებული სხვადასხვა კვლევების შედეგებმა აჩვენა ტყვიის მაღალი შემცველობა იმ ადამიანთა სისხლში, შარდსა და თმის სტრუქტურაში, რომლებიც ქალაქის გადატვირთულ გამზირებთან ახლოს ცხოვრობდნენ. ასევე მაღალი აღმოჩნდა კარბოქსიჰემოგლობინის³⁰ დონე სისხლში. კვლევამ ასევე გამოავლინა გულსისხლძარღვთა სისტემის პათოლოგიებიც. აღნიშნული კვლევების შედეგები და ავტოსატრანსპორტო საშუალებებიდან ემისიების ზრდის ტენდენცია მიანიშნებს იმაზე, რომ ჰაერის ხარისხის გაუარესება უკვე დიდი ხანია მნიშვნელოვან პრობლემად იქცა როგორც თბილისში მცხოვრები და მომუშავე ადამიანებისათვის, ასევე, გარკვეული დროით ქალაქში ჩამოსული სტუმრებისთვისაც. ეს, თავისთავად, ამცირებს მეტი ტურისტის მოზიდვის პოტენციალს, რამაც შესაძლოა ხელი შეუშალოს ტურიზმის განვითარებას მომავალში.

ქმედებები

ჰაერის დაცვას და მასთან დაკავშირებულ საკითხებს არეგულირებს „საქართველოს კანონი ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ“

28 შოთა სიღამონიძე, „ავტოტრანსპორტის გამონაბოლქვი, გარემო და ადამიანი“, თბილისი 2002 წ.

29 საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი. ჯანმრთელობის დაცვა, საქართველო, 2009, წლიური სტატისტიკის ჟურნალი. თბილისი. 2010 წ.

30 კარბოქსიჰემოგლობინი არის სისხლში წარმოქმნილი შენაერთი, რომელიც წარმოიქმნება შესუნთქული ნახშირბადის მონოქსიდის დაკავშირებით ჰემოგლობინის მოლეკულასთან, იმ პოზიციაზე, სადაც ჩვეულებრივ ჟანგბადია განთავსებული, და იწვევს უკრძამო ჟანგბადის ნაკლებობას.

და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტები. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ 2003 წელს შემუშავებული ეროვნული სტანდარტები განსაზღვრავს ჰაერში მავნე ნივთიერებების ზღვრულად დასაშვებ კონცენტრაციებს.³¹ ჰაერის დამაბინძურებელი ნივთიერებების ზღვრულად დასაშვები კონცენტრაციები დაფუძნებულია ჰაერის ხარისხის საბჭოურ სტანდარტებზე და ზოგიერთ შემთხვევაში, განსხვავდება ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ რეკომენდებული და აგრეთვე ევროკავშირის სტანდარტებისგან.

საქართველოს მთავრობის 2004 წლის 31 დეკემბრის დადგენილება №124, საავტომობილო ბენზინის ხარისხობრივი ნორმების შესახებ ადგენს მინიმალური ოქტანობის მაჩვენებლებს სხვადასხვა მარკის ბენზინისათვის და ბენზინის ეკოლოგიურ მახასიათებლებს, როგორცაა, ტყვიის, გოგირდის შემცველობა და ბენზოლისა და არომატული ნახშირწყალბადების მოცულობითი წილი. თუმცა, იმის გამო, რომ არ არსებობს ბენზინის ხარისხის კონტროლის მექანიზმები, აღნიშნული დადგენილების აღსრულება ვერ ხორციელდება. ამას ისიც ემატება, რომ ქვეყანაში არ არსებობს ავტომობილების სავალდებულო ტექნიკური დათვალიერება. აქედან გამომდინარე, დღესდღეობით ავტოტრანსპორტით გამოწვეული ჰაერის დაბინძურების რეგულირება პრაქტიკულად ვერ ხორციელდება.

ტყვიის შემცველი ბენზინის (ბენზინი, რომლის შემადგენლობაში ტყვიის შემცველობა აღემატება 13 მკგ/ლ) იმპორტი და გამოყენება იკრძალება საქართველოს პარლამენტის 1999 წლის 22 ივლისის დადგენილებით. თუმცა, ამჟამად, ქვეყანაში იმპორტირებული ბენზინის ლაბორატორიული კონტროლი ძალიან სუსტია. ამდენად, სანდო ინფორმაცია საქართველოში გამოყენებული ბენზინის ტყვიის შემცველობისა და შედეგად ავტოტრანსპორტის მიერ ჰაერში გაფრქვეული ტყვიის დონეების შესახებ ხელმისაწვდომი არ არის.³²

გარემოს ეროვნული სააგენტო, რომელიც გარემოს დაცვის სამინისტროს დაქვემდებარებაშია, პასუხისმგებელია თბილისში ატმოსფერული ჰაერის ხარისხის სახელმწიფო მონიტორინგის წარმოებაზე. სადამკვირვებლო სადგურების მცირე რაოდენობის, ჰაერის ძირითადი დამაბინძურებლების გაზომვის უუნარობის, სინჯების ასაღები მოწყობილობის მოძველებულობის და ლაბორატორიებში ხარისხის უზრუნველყოფის/

31 საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანება №38/ნ „გარემოს ხარისხობრივი ნორმების დამტკიცების შესახებ“ (2003 წლის 24 თებერვალი).

32 საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი. 2007 წლის დეკემბრის ბიულეტენი №106-ისათვის მომზადებული ავთო ბუდალაშვილის სტატია: ჰაერის ხარისხი და ჰაერში ემისიის წყაროები. ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: <http://aarhus.ge/index.php?lang=eng&page=243>

კონტროლის სისტემა არარსებობის გამო არსებული სადამკვირვებლო ქსელი სუსტია და ვერ უზრუნველყოფს თბილისში ჰაერის ხარისხის ადექვატურ შეფასებას. აგრეთვე შეუძლებელია ქალაქში დამაბინძურებელი ნივთიერებების რეალური სივრცითი განაწილების ადექვატური მოდელირება.

მიუხედავად იმისა, რომ ავტოტრანსპორტის განმარტებული მიჩნეულია თბილისში ატმოსფერული ჰაერის უმთავრეს დამაბინძურებლად, ჯერ-ჯერობით არ არსებობს რაიმე სახის დოკუმენტირებული მუნიციპალური პოლიტიკა თბილისში ჰაერის ხარისხის პრობლემების მოგვარების კუთხით. დედაქალაქის დონეზე ტრანსპორტთან დაკავშირებული პოლიტიკა ძირითადად ტრანსპორტის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებისკენ არის მიმართული. გარკვეული ღონისძიებები, როგორცაა მაგ. ავტობუსებისა და მიკროავტობუსების ქსელის ოპტიმიზაცია, ელექტროტრანსპორტის განვითარება, ალტერნატიული გზების მშენებლობა, ქუჩების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და სხვ. მომავალში დადებითად აისახება ტრანსპორტით გამოწვეული ჰაერის დაბინძურებაზე. თუმცა, მხოლოდ ავტოტრანსპორტის მოძრაობის მოწესრიგება და ავტოსატრანსპორტო გზების ხარისხის გაუმჯობესება ვერ შეამცირებს ავტოტრანსპორტის გარემოზე უარყოფით ზეგავლენას. ამისათვის აუცილებელია ავტომობილების ტექნიკური გამართულობის უზრუნველყოფა და მათ მიერ მოხმარებული საწვავის ხარისხის გაუმჯობესება. ამასთან, მნიშვნელოვანია კერძო ტრანსპორტის გამოყენების შემცირების წახალისება საზოგადოებრივი ტრანსპორტის განვითარების პარალელურად.

საწარმოო ობიექტებიდან ემისიის ლიმიტები განისაზღვრება გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გაცემის პროცესში და წარმოადგენს სანებართვო პირობების ნაწილს. მცირე საწარმოებისთვის, რომლებიც არ საჭიროებენ გარემოზე ზემოქმედების ნებართვას, ემისიის ნორმები დგინდება გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტების შესაბამისად. თუმცა, გარემოსდაცვითი რეგულაციების აღსრულებაზე პასუხისმგებელი ორგანოს - გარემოს დაცვის ინსპექციის შესაძლებლობები, გარემოს დაბინძურების მონიტორინგის კუთხით, საკმაოდ შეზღუდულია.

ამჟამად, არ არსებობს რეგულაციები, რომლებიც უზრუნველყოფენ საწარმოო ობიექტების ირგვლივ სანიტარიული ზონების შექმნას (არსებული რეგულაციები გაუქმდა 2007 წელს).³³ ამგვარი წესის არარსებობამ შესაძლოა, ნეგატიური ზეგავლენა გამოიწვიოს გარემოზე თუ საწარმოო

ობიექტები მკაცრად არ დაცვივენ გარემოსდაცვითი ორგანოების მიერ განსაზღვრულ ემისიის ნორმებს.

დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალურ გეგმაში, რომელიც მიღებულ იქნა 2009 წლის 5 ივნისს, შემოთავაზებულია თბილისის ცენტრალურ ადგილებში, უმეტესწილად მოქმედი სარკინიგზო ხაზის გასწვრივ განთავსებული ძველი, გარემოს დამაბინძურებელი საწარმოების დემონტაჟი და/ან მათი გადატანა ქალაქის აღმოსავლეთ გარეუბნებში. დამატებით, გენერალურ გეგმაში პრიორიტეტულ საკითხებად გამოყოფილია: გამწვანებული სივრცის შექმნა და შემდგომი განვითარება; და ეკოლოგიურად მავნე და ტექნოლოგიურად მოძველებული საწარმოების მოდერნიზაცია და ლიკვიდაცია და საწარმოსა და საცხოვრებელ ტერიტორიებს შორის მწვანე ბუფერული ზონების შექმნა.³⁴ თუმცა, ამ პრიორიტეტების პრაქტიკაში განსახორციელებლად საჭირო იქნება ადგილობრივ დონეზე განხორციელების კონკრეტული მექანიზმების შემუშავება.

3.2. წყალმომარაგება და წყალარინება

ზემოქმედი ფაქტორები

თბილისსა და მის შემოგარენში არსებული მტკნარი წყლის რესურსები, რომელთა ამოღებაც ზედაპირული და მიწისქვეშა წყლებიდან ხდება, სხვადასხვა მიზნებისათვის გამოიყენება. ამოღებული წყლის უდიდესი ნაწილი მოიხმარება მუნიციპალური/საყოფაცხოვრებო (სასმელი წყლის მიწოდება და კომუნალური საჭიროებები) და ენერგეტიკის სექტორების მიერ. ფაქტურად **ჰიდროელექტროენერჯის გენერაციაზე** იხარჯება თბილისის წყლის 90 %-ზე მეტი. მეორეს მხრივ, ეს არ უკავშირდება წყლის რესურსებზე რაიმე მნიშვნელოვან ზეწოლას, რადგან ამოღებული წყალი მთლიანად ბრუნდება უკან წყლის ობიექტში ჰიდროელექტროსადგურიდან დინების ქვევით. თუ არ ჩავთვლით წყლის მოხმარებას ენერგეტიკის სექტორის მიერ, მაშინ **მუნიციპალური წყალმომარაგების** სექტორი მთლიანი ამოღებული წყლის დაახლოებით 95%-ს იყენებს. მტკნარი წყლის რესურსების მოხმარებელი სხვა მსხვილი სექტორებია: მრეწველობა, ტრანსპორტი, ირიგაცია, რეკრეაცია, სათევზე მეურნეობა და ა.შ.³⁵

გრუნტის წყლები უმთავრესად სასმელი წყლის მიწოდებისათვის გამოიყენება, რადგანაც ისინი ბუნებრივად უფრო სუფთაა და გასაწმენდად უფრო ნაკლებ ინვესტიციას საჭიროებს. ამჟამად

33 საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანება №236/ნ (6/10/ 2003) „საწარმოების ნაგებობებისა და სხვა ობიექტების სანიტარიული დაცვის ზონებისა და სანიტარიული კლასიფიკაციის დამტკიცების შესახებ“

34 ქ. თბილისის საკრებულოს გადაწყვეტილება №6-17, 2009 წლის 5 ივნისი, დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ, თავი VII, მუხლი 8.

35 მონაცემები მოწოდებულია საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტროს წყლის რესურსების სამმართველოს მიერ, თბილისი, 2010 წ.

გრუნტის და ზედაპირული წყლების სასმელ წყლად გამოყენების თანაფარდობა თბილისში შემდეგია 60%:40%³⁶. გრუნტის წყლების ამოღება უმთავრესად მდინარე არავის აუზიდან ხდება, ხოლო ორი დიდი წყალსაცავი – ჟინვალის და თბილისის ზღვა, ზედაპირული წყლის ამოღებისათვის გამოიყენება.

მუნიციპალური ჩამდინარე წყლები (საყოფაცხოვრებო და სამრეწველო ჩამდინარე წყლები და სანიაღვრე წყლები) ქალაქში გროვდება ცენტრალურ საკანალიზაციო კოლექტორში და გადაიტანება გარდაბნის წყლის გამწმენდამდე, რომელიც ემსახურება თბილისსა და რუსთავს. შესაბამისად, ოფიციალურად ქალაქის ფარგლებში არ უნდა ხდებოდეს სხვა სახის პირდაპირი ჩაშვება. თუმცა, ქალაქში წარმოქმნილი გაუწმენდავი ჩამდინარე წყლების თითქმის ნახევარი უკანონოდ, კოლექტორის გვერდის ავლით, პირდაპირ ჩადის მდინარეში³⁷. გარდა ამისა, გარდაბნის გამწმენდი ობიექტი ძალიან დაბალი სიმძლავრით მუშაობს და ამჟამად იქ მხოლოდ მექანიკური (პირველადი) გაწმენდა წარმოებს.

არაწერტილოვანი დაბინძურება ძირითადად **სოფლის მეურნეობის სექტორიდან** ხდება, რაც არც ისე ექსტენსიურია თბილისში, მაგრამ უფრო ინტენსიურია თბილისიდან დინების ზევით. არაწერტილოვანი დაბინძურების კიდევ ერთი წყარო შეიძლება იყოს ნარჩენების ტექნიკურად არასწორი განთავსება არასანიტარიულ ნაგავსაყრელებზე მდინარის და სხვა წყლის ობიექტის მიმდებარედ.

ამასთან ერთად, არის წყლის ობიექტებიდან **უკანონო და დაურეგულირებელი წყალადების** შემთხვევები (როგორც ეს ლისის ტბაზე და თბილისის ზღვაზე ხდებოდა), რამაც შესაძლოა გამოიწვიოს ჰიდროლოგიური ბალანსის დარღვევა და რასაც, საერთო ჯამში, შედეგად მოჰყვება სერიოზული ბაქტერიოლოგიური დაბინძურება.

გარემოს მდგომარეობა

თბილისში მდინარე მტკვარი, ძირითადად ნუტრიენტებით – ამონიუმის იონებით და ნატრიუმის ნიტრატით ბინძურდება, რომლის კონცენტრაცია რამდენჯერმე აღარაა ადამიანის ჯანმრთელობის დაცვის სტანდარტებს საქართველოში და ასევე ევროკავშირის ლიმიტებს თევზის ეკოსისტემების შენარჩუნებისთვის. ამონიუმის იონების მაღალი კონცენტრაციის მიზეზი უმეტეს შემთხვევებში გაუწმენდავი საყოფაცხოვრებო ჩამდინარე წყლების ზედაპირულ წყლებში პირდაპირი ჩაშვებაა. ამის არაპირდაპირი მიზეზი ასევე შეიძლება იყოს აზოტის შემცველი სასუქების გამოყენება სოფლის მეურნეობაში თბილისიდან დინების ზევით. მდინარე მტკვარში, დაკვირვების ყველა წერტილში, ასევე

შეინიშნება ბიოლოგიური ჟანგბადის მოთხოვნის (BOD-5) მაღალი მაჩვენებლები.

ამასთან ერთად, თბილისის ტბებსა და რეზერვუარებში აღინიშნება ბაქტერიული და მიკრობიოლოგიური დაბინძურების მაღალი დონე.³⁸ ზაფხულის განმავლობაში E-coli-ს კონცენტრაციები თბილისის ტბებსა და რეზერვუარებში მნიშვნელოვნად მაღალია. დაბინძურება სავარაუდოდ გამოწვეულია არასასურველი სანიტარიული მდგომარეობით, წყლის ობიექტებში გაუწმენდავი წყლების უკანონო ჩაშვებით და სარეკრეაციო ზონების მოუვლელიობით, მათ შორის ადეკვატური დაცვის საშუალებების არარსებობით, როგორცაა მაგ. შემოღობვა შინაური ცხოველებისაგან დაცვის მიზნით.

ზეგავლენა

წყლის რესურსებზე ზემოქმედება მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს გარემოზე და ადამიანის ჯანმრთელობაზე. მაგალითად, მდინარე მტკვარის ნუტრიენტებით დაბინძურება უარყოფითად აისახება წყლის ეკოსისტემებზე. ზაფხულის განმავლობაში E-coli-ს მაღალი კონცენტრაციები თბილისის ტბებსა და რეზერვუარებში ეჭვქვეშ აყენებს მათ გამოყენებას სარეკრეაციო მიზნებისათვის.

საკმაოდ მწირია კვლევები და ანალიზი იმის შესახებ, თუ როგორ აისახება ადამიანის ჯანმრთელობაზე თბილისში სამრეწველო და საყოფაცხოვრებო ჩამდინარე წყლებით გამოწვეული წყლის დაბინძურება, ცუდი სანიტარიული პირობები და წყალმომარაგების სისტემების გაუმართაობა. არსებული სტატისტიკა ინფექციური დიარეისა და ვირუსული ჰეპატიტის შესახებ გასაკვირად მაღალია. თუმცა, გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ ქვეყნის მასშტაბით არსებული პაციენტების თითქმის 40% და მეზობელი სოფლების ყველა მცხოვრები მკურნალობას თბილისში გადის, რაც სტატისტიკურ შედეგებზე მოქმედებს. სამწუხაროდ, უფრო დეტალური ანალიზი, რაც ჯანდაცვის სტატისტიკის მონაცემების კონკრეტულ ადგილებთან დაკავშირების საშუალებას მოგვცემდა, დღესდღეობით არ არსებობს.

ქმედებები

არსებული წყლის შესახებ კანონი (1997) საკმაოდ ფრაგმენტული, არათანმიმდევრული და წინააღმდეგობრივია. შესაბამისად, იგი არ იძლევა წყლის რესურსების ეფექტურად მართვის საშუალებას და ასევე, არ ითვალისწინებს პრევენციის მექანიზმებს წყლის ჭარბი მოხმარების, დამაბინძურებლების დიდი რაოდენობით ჩაშვების და ა.შ. წინააღმდეგ. ამასთან, ის ამჟამინდელი სიტუაციისათვის აბსოლუტურად არარელევანტური ხდება, განსაკუთრებით, გარემოსდაცვითი

36 მონაცემები მოწოდებულია შპს „კორჯიან უოთერ ენდ ფაუერის“ (GWP) მიერ, თბილისი, 2010 წ.

37 პერსონალური ინტერვიუ საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტროში, წყლის რესურსების მართვის სამმართველო, თბილისი, 2010 წ.

38 ეროვნული ანგარიში საქართველოს გარემოს მდგომარეობის შესახებ, 2007-2009, საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტრო, თბილისი, 2011 წ.

ნებართვებისა და ლიცენზიების სისტემაში, საქართველოს საგადასახადო კოდექსში და სხვა კანონმდებლობაში შესული ცვლილებების შემდეგ.³⁹

საქართველოში წყლის მართვის ფუნქციები და პასუხისმგებლობები გადანაწილებულია რამდენიმე სახელმწიფო უწყებას შორის. ჩვეულებრივ ამ უწყებებს შორის კავშირი ძალიან სუსტია. იმის გამო, რომ წყლის მართვა ძირითადად ცენტრალიზებულია, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების უფლებამოსილება და კომპეტენცია ამ მხრივ უაღრესად შეზღუდულია. გარემოს დაცვის სამინისტროს რეგიონული სამსახურების გაუქმების შემდეგ აღნიშნული შეზღუდვები კიდევ უფრო თვალსაჩინო გახდა.

დედაქალაქსა და მის შემოგარენში სასმელი წყლის მოპოვებას, გაწმენდასა და მომხმარებელამდე ტრანსპორტირებას, აგრეთვე ჩამდინარე და სანიაღვრე წყლების არინებას ახორციელებს კერძო კომპანია „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერ“ (GWP). GWP პასუხისმგებელია მთლიანად აღმოფხვრას გაუწმენდავი ჩამდინარე წყლის ჩაშვება 2013 წლისთვის, ხოლო 2018 წლისთვის მოახდინოს გამწმენდი ობიექტის რეაბილიტაცია საქართველოსა და საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისად.

თბილისში და საქართველოში ზედაპირული წყლების ხარისხის მონიტორინგს გარემოს დაცვის სამინისტროს გარემოს ეროვნული სააგენტო ახორციელებს. ზედაპირული წყლის ობიექტების მონიტორინგი შედარებით მცირე მასშტაბებით ხორციელდება და ძირითადად მოიცავს მდინარე მტკვარს, ხოლო ბაქტერიოლოგიურ მონიტორინგს საერთოდ არასისტემატიური ხასიათი აქვს. წყლის ხარისხის ქიმიური და ფიზიკური ანალიზის დროს არ ხდება პესტიციდების გაზომვა, რომლებიც სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო დაბინძურების ერთ-ერთი ყველაზე სახიფათო ნივთიერებებია. უკვე 20 წელია არ ტარდება მიწისქვეშა წყლების ჰორიზონტების მონიტორინგიც.

ზედაპირული წყლებიდან წყლის ამოღების და წყალჩაშვების ნებართვები რამდენიმე წლის წინ გაუქმდა. წყლის მოხმარება ამჟამად რეგულირდება გარემოზე ზემოქმედების ნებართვით და ტექნიკური გარემოსდაცვითი რეგულაციებით. თუმცა, აღნიშნული ნებართვების პირობებისა და ტექნიკური გარემოსდაცვითი რეგულაციების მოთხოვნების აღსრულება იყო და რჩება საკმაოდ სუსტი.

ერთ-ერთი ძირითადი გამოწვევა, რომლის წინაშეც დადგება წყლის მართვის სექტორი უახლოესი წლების განმავლობაში, არის წყლის რესურსების მართვის არსებული ცენტრალიზებული სისტემის შეცვლა ინტეგრირებული და მდინარის აუზზე

39 ეროვნული გარემოსდაცვითი მოქმედებათა გეგმა, თავი წყლის რესურსების მართვის შესახებ, სამუშაო ვერსია, 2010 წ.

ორიენტირებული მიდგომით, რაც დიდი ხნის წინათ იყო რეკომენდებული წყლის მართვის სფეროს სხვადასხვა ექსპერტებისა და რიგი დონორების მიერ დაფინანსებული წყლის მართვის შესახებ პროექტების ფარგლებში. გარდა ამისა, აღნიშნული, გათვალისწინებულია ქვეყნის მიერ ნაკისრი სხვადასხვა საერთაშორისო ვალდებულებებით.

3.3. ნარჩენების მართვა

ზემოქმედი ფაქტორები და გარემოს მდგომარეობა

თბილისში ნარჩენების ძირითადი წყაროებია: მუნიციპალური ნარჩენები, სამშენებლო ნარჩენები, სამრეწველო ნარჩენები და სამედიცინო ნარჩენები.

მუნიციპალური ნარჩენების 70–80%–ს შეადგენს **საყოფაცხოვრებო ნარჩენები** (მუნიციპალური ნარჩენების სხვა წყაროებია: ოფისები, მაღაზიები, რესტორნები, სასტუმროები, ქუჩების მონახვეტი, ბაღები და სხვ.). თბილისში ერთ სულ მოსახლეზე წელიწადში წარმოქმნილი მუნიციპალური ნარჩენი (273.75 კგ) ნაკლებია ევროპის ქვეყნებში ერთ სულ მოსახლეზე წელიწადში წარმოქმნილი ნარჩენების რაოდენობაზე (524 კგ).⁴⁰ თუმცა, მოსახლეობის და ეკონომიკური განვითარების შესაბამისად, ნავარაუდევია ნარჩენების წარმოქმნის ზრდა 2.25%-ით წელიწადში.⁴¹ მონაცემები თბილისში მუნიციპალური ნარჩენების შემადგენლობის შესახებ თითქმის არ არსებობს, მაგრამ, რამდენიმე არსებული წყაროს მიხედვით, ბოლო 10 წლის განმავლობაში ორგანული ნარჩენების, ქალაქის, მუყაოს და ლითონის წილი შემცირდა, ხოლო პლასტიკური მასალების პროცენტი შესამჩნევად გაიზარდა. ამჟამად მუნიციპალური ნარჩენების განთავსება ხდება ახალ სანიტარიულ ნაგავსაყრელზე, რომელიც ფუნქციონირებს 2010 წლის ნოემბრიდან. ნაგავსაყრელი აღჭურვილია

40 The European environment – state and outlook 2010: synthesis. European Environment Agency, Copenhagen, pg.73.

41 თბილისის ნარჩენების მართვის კონცეფცია, 2006 წ, გერმანიის თანამშრომლობის საერთაშორისო საზოგადოება (GIZ), გვ. 63.



გლდანის ნაგავსაყრელი ქეთი გუჯარაიძის ფოტო

გაუმტარი ფსკერით და ნაწრეტი წყლების და ბუნებრივი აირის შეგროვების სისტემებით.

ზუსტი მონაცემები თბილისში **სამშენებლო ნარჩენების** წარმოქმნის შესახებ არ არსებობს. თბილისში მიმდინარე სამშენებლო/სარეაბილიტაციო სამუშაოების ზრდიდან გამომდინარე, ბოლო წლებში უნდა გაზრდილიყო სამშენებლო ნარჩენების რაოდენობაც. თბილისში არის რამდენიმე ოფიციალურად დაშვებული ადგილი სამშენებლო ნარჩენების განთავსებისათვის. მათგან უდიდესია 100 ჰა ფართობის ტერიტორია მდინარე მტკვარის ნაპირზე.

სამშენებლო ნარჩენების მსგავსად, თითქმის არ არსებობს მონაცემები **სამრეწველო ნარჩენების** შესახებ. იმის გამო, რომ ჯერ-ჯერობით საქართველოში არ არსებობს სამრეწველო და განსაკუთრებით სახიფათო ნარჩენების ოფიციალური განთავსების ადგილები ან გაუვნებლების მეთოდები, მრავალი საწარმო ვერ ახერხებს ნარჩენების მართვის სათანადო გეგმების წარმოდგენას.

სამედიცინო ნარჩენებს შორის არის: მუნიციპალური, ინფექციური და ანატომიური ნარჩენები. ინფექციური და ანატომიური ნარჩენების შეგროვება ხდება სამედიცინო ნარჩენების სერვისის კონტრაქტორი კერძო კომპანიის მიერ. უნდა აღინიშნოს, რომ არ არსებობს რაიმე სახის ზოგადი მითითებები საავადმყოფოში სამედიცინო ნარჩენების უსაფრთხო შეგროვებისა და წინასწარი დამუშავების შესახებ. ინფექციური ნარჩენები ავტოკლავირებას ექვემდებარება და შემდგომში მუნიციპალური მყარი ნარჩენების ნაგავსაყრელზე თავსდება. ანატომიური ნარჩენები იმარხება სპეციალურ სასაფლაოზე. საერთოდ არ ხორციელდება D (საწარმოო ნარჩენების იდენტური) და E (რადიაქტიური ნარჩენები) კლასის სამედიცინო ნარჩენების განცალკევებით შეგროვება ან გაუვნებლება.

ახალი ნაგავსაყრელის გახსნის შემდეგ დაიხურა თბილისის ძველი ნაგავსაყრელები – 'გლდანი' და 'იალლუჯა'. თუმცა, იქ მუდმივად მიმდინარე აალების და ნარჩენების წვის გამო ეს ნაგავსაყრელები კვლავ რჩება ჰაერის მნიშვნელოვანი დაბინძურების წყაროდ. ამასთან, ჩამონადენი წყლები ნაგავსაყრელებიდან ჩაედინება ბუნებრივ ხევებში და იწვევს ზედაპირული წყლების დაბინძურებას.

ამჟამად, საქართველოში ნარჩენების ნაგავსაყრელებზე განთავსება ნარჩენების მართვის ერთადერთ მეთოდს წარმოადგენს. შესაბამისი პოლიტიკის არარსებობა და გადამუშავების მაღალი ღირებულება ხელს უშლის მეორადი გადამუშავების და ხელახალი გამოყენების დანერგვას, რაც ზრდის ბეწოლას ნაგავსაყრელებზე.

ზეგავლენა

უკვე წლებია ძველი ნაგავსაყრელებიდან მავნე

ნივთიერებების გამოყოფა ჯანმრთელობის რისკებს უქმნის თბილისის, რუსთავისა და მიმდებარე დასახლებების მოსახლეობას. უახლოესი საცხოვრებელი სახლიდან 700 მ მანძილზე განლაგებული გლდანის ნაგავსაყრელი მრავალი წლის განმავლობაში დიდ პრობლემას წარმოადგენდა გლდანის რაიონის მცხოვრებთათვის. გარდა ამისა, ორგანული ნივთიერებების ბუნებრივი ხრწნის გამო, ნაგავსაყრელები გამოყოფს სათბურის აირებს, როგორცაა ნახშირორჟანგი და მეთანი. წვიმის წყალი, ისევე როგორც გლდანის ნაგავსაყრელის ზედა ნაწილიდან ჩამომდინარე პატარა ნაკადები წლების მანძილზე ადვილად იჟონებოდა გლდანის ნაგავსაყრელის მთელ ტერიტორიაზე, რის შედეგადაც, წარმოიქმნებოდა ნაწრეტი წყლების საკმაოდ დიდი რაოდენობა. ნაგავსაყრელის ფსკერზე საიზოლაციო ფენის და ნაწრეტი წყლების შემკრები სისტემის არარსებობა ბადებს საფუძვლიან ეჭვს, რომ ნაგავსაყრელის ფენებში გამავალი ნაწრეტი წყლები გარემოს დაბინძურების მუდმივი წყარო იყო და რჩება.

ქმედებები

თბილისში მუნიციპალური ნარჩენების მართვა მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა ბოლო 5 წლის განმავლობაში. მუნიციპალური მყარი ნარჩენების სფეროში 2006 წლამდე არსებული პრობლემების დიდი ნაწილი გადაჭრილია. 2006 წლის დეკემბერში თბილისის მთავრობის დადგენილებით დამტკიცდა დასუფთავების ადგილობრივი წესები⁴². ამით მოხდა ადგილობრივ დონეზე ნარჩენების მართვის მარეგულირებელი ჩარჩოს უზრუნველყოფა, მაშინ როცა ნარჩენებთან დაკავშირებული ეროვნული კანონმდებლობა ჯერ არ არის მიღებული. თბილისის დასუფთავების საქალაქო სამსახურმა, რომელიც 2006 წელს შეიქმნა, გააერთიანა ნარჩენებთან დაკავშირებული ყველა პასუხისმგებლობა: ნარჩენების შეგროვება, ტრანსპორტირება, გაუვნებლება და გატანა, რის შედეგადაც ნარჩენების მართვა უფრო ეფექტური და კარგად კოორდინირებული გახდა.

ნარჩენების მართვის საკანონმდებლო და ადმინისტრაციული ჩარჩოს გაუმჯობესება ქალაქის დონეზე, ნარჩენების გაუმჯობესებულ მართვაში აისახა. ამჟამად, დასუფთავების მომსახურება ფარავს მოსახლეობის 100%-ს, ახლად შემოერთებული ტერიტორიების ჩათვლით. ბუნკერების სისტემის გაუქმებით, და მათი კონტეინერებისა და ზარის სისტემით ჩანაცვლებით, მოისპო მღრღნელებისა და მწერების გავრცელების წყარო. სამშენებლო ნარჩენების არალეგალური განთავსებისათვის მაღალი ჯარიმების შემოღების შემდეგ მნიშვნელოვნად შემცირდა არალეგალური განთავსების შემთხვევები. გაუქმდა სამშენებლო ნარჩენების რამოდენიმე არალეგალური ნაგავსაყრელი. 2010 წელს აშენდა

⁴² დამტკიცებულია თბილისის მთავრობის დადგენილებით N02.17.62, დეკემბერი 1, 2006 წ.

საყოფაცხოვრებო ნარჩენების თანამედროვე, სანიტარული ნაგავსაყრელი (იხ. ზემოთ).

მიუხედავად ყველაფრისა, ჯერ კიდევ რჩება საკითხები, რომლებიც მოითხოვს ყურადღებას. მაგ. სამრეწველო, სამედიცინო და სახიფათო ნარჩენებთან დაკავშირებული პრობლემები საჭიროებს სათანადო რეგულაციებისა და მათი აღსრულების მექანიზმების შემუშავებას. გარდა ამისა, არ არსებობს პოლიტიკა და მიზნები ნაგავსაყრელზე გაგზავნილი ნარჩენების რაოდენობის შემცირების მიმართულებით. და ბოლოს, აუცილებელია გარემოზე იმ უარყოფითი ზემოქმედების აღმოფხვრა რასაც მუნიციპალური ნარჩენების ძველი ნაგავსაყრელები იწვევს, რისთვისაც უნდა დაიგეგმოს და განხორციელდეს კონსერვაციის/აღდგენის სათანადო ღონისძიებები.

3.4. მწვანე საფარი

ზემოქმედი ფაქტორები და გარემოს მდგომარეობა


თბილისში პარკების, ეროვნული ბაღებისა და გამწვანების საერთო ფართობი ძალზე მცირეა განაშენიანებული რაიონებისა და ქალაქში მცხოვრები მოსახლეობის რაოდენობასთან შედარებით.

ნორმატიული აქტების მიხედვით, რომლებიც საბჭოთა დროს არის მიღებული და ამჟამადაც მოქმედებს, ქალაქში, სადაც 0.5 მილიონ ადამიანზე მეტი ცხოვრობს, სავალდებულო გამწვანებული ადგილი ერთ მოსახლეზე 15 მ²-ზე ნაკლები არ უნდა იყოს⁴³. თბილისის შემთხვევაში, აღნიშნული მაჩვენებელი 13.0მ²-ს (1983წ.) არასოდეს აღემატებოდა. სამწუხაროდ, ამ საკითხზე განახლებული ინფორმაცია არ არსებობს. თუმცა, ქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის თანახმად, 2001 წელს ეს ციფრი ბევრად ნაკლები იყო და ერთ მოსახლეზე 5.6 მ² შეადგენდა.⁴⁴ მსგავსი კრიტიკული ვარდნა, სავარაუდოდ, 1990-იანი წლების ენერგეტიკული კრიზისის შედეგი უნდა იყოს. ამ დროს ქალაქის მმართველობა ვერ აკონტროლებდა მოსახლეობის მიერ ხეების მასიურ ჩეხვას, რაც გათბობისა და საკვების მომზადების მიზნით ხდებოდა. მოგვიანებით, 90-იანი წლების ბოლოს და 2000 წლის დასაწყისში, მწვანე საფარი კიდევ ერთხელ მოექცა მწვავე ზეწოლის ქვეშ, მაშინ, როდესაც მოუწესრიგებელი და ქაოტური მშენებლობების ბუმის შედეგად პარკები და ეროვნული ბაღები სამშენებლო ზონებად გადაიქცა. ბოლო

43 გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების რეგულირების კომიტეტი, თბილისის მერია, თბილისის გარემოს დაცვის შეფასების ანგარიში, 2000 წ., 67-ე გვ.


44 ურბანული დაგეგმარებისა და განვითარების მუნიციპალური სამსახური, თბილისის ურბანული განვითარების შეჯამებული კონცეფცია, პროექტის გეგმა, თბილისი, 2003 წ., 53-ე გვ.

რუკა 3-1 მწვანე საფარი თბილისში





ბოტანიკური ბაღი
თბილისის მერიის ფოტოარქივი



ვაკის პარკი
თბილისის მერიის ფოტოარქივი

წლებში **საცხოვრებელი ტერიტორიის გაფართოება** თბილისში (ვაკე-საბურთალოსა – ბაგების მიდამოები და წყნეთის ტერიტორიაზე) ტყით დაფარული მიწების გასუფთავებისა და გამწვანებული ადგილების გამოყენების ხარჯზე მოხდა,

2006 წელს, საქართველოს პარლამენტის მიერ თბილისის ახალი ადმინისტრაციული საზღვრების დამტკიცებით, თბილისის ტერიტორია მნიშვნელოვნად გაფართოვდა. დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის თანახმად, ახლად შემოერთებულადგილებში განლაგებულ მასსაოფლო-სამეურნეო და ტყის ზონებმა საცხოვრებელი რაიონის სტატუსი შეიძინა, რის შედეგადაც საცხოვრებელი სახლების აგება და შესაბამისი ინფრასტრუქტურის განვითარება ამ ზონებში ნებადართულია. გენერალური გეგმის თანახმად, 2015 წლამდე 170,000 ადამიანისთვის ყოველწლიურად დაგეგმილია 1 მლნ მ²-ის ფართობზე ახალი საცხოვრებელი ადგილების განაშენიანება.

ქალაქის გარემოს არასახარბიელო პირობები ქალაქის სულ უფრო და უფრო მეტ მაცხოვრებელს აიძულებს ქალაქგარეთ გადასვლას. ეს ტენდენცია, ალბათ, გაგრძელდება და გაძლიერდება მომდევნო ათწლეულების განმავლობაში გლობალური დათბობის პირობებში. აღნიშნული ტენდენცია ქალაქის გაფართოების სტიმულს იძლევა ახლანდელი საზღვრების მიღმა და ზრდის გარემოზე ზეწოლას თბილისის შემოგარენში, რომელსაც ამჟამად თბილისის მოსახლეობისათვის გამაჯანსაღებელი ფუნქცია აკისრია.

ზეგავლენა

ტყეები და გამწვანებული ადგილები, როგორც ქალაქის შემოგარენში, ისე მის ფარგლებში, ჰაერის ფილტრაციის, ჟანგბადით უზრუნველყოფისა და თბილისში ხელსაყრელი კლიმატის შექმნის ფუნქციას ასრულებს. ამასთან, ზოგიერთ ადგილებში მწვანე საფარი ხელს უწყობს ეროზიის თავიდან აცილებას მეწყერსაშიშ ზონებში. თბილისის ახალი ადმინისტრაციის საზღვრებში ტყის, რეკრეაციული და სასოფლო-სამეურნეო ტერიტორიების ადგილას საცხოვრებელი სახლების აგება და შესაბამისი ინფრასტრუქტურის განვითარება ვერ მოხერხდება აღნიშნულ ფუნქციებზე უარყოფითი გავლენისა და ბუნებრივი გარემოსათვის ზიანის მიყენების გარეშე. ამასთან, მწვანე საფარის განადგურება ქალაქსა და მის შემოგარენში გამოიწვევს ურბანული ბიომრავალფეროვნების და ქალაქის შემოგარენში არსებული ბიომრავალფეროვნების შემცირებას. მთლიანობაში, მწვანე საფარის შემცირება ნაკლებად მიმზიდველს გახდის ქალაქს და ასევე, უარყოფითად იმოქმედებს ქალაქში ჰაერის ხარისხზე.

ქმედებები

გამწვანებული ადგილების მონიტორინგსა და მართვას ახორციელებს მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების სამსახური და ასევე მუნიციპალური ინსპექციასთან არსებული, ახლად დაარსებული, ლანდშაფტებისა და რეკრეაციული ზონების დაცვის სამსახური. საქართველოს სამოქალაქო კოდექსში შეტანილი ცვლილების თანახმად,

ადმინისტრაციული დარღვევა, რის შედეგადაც ზიანდება პარკები, ეროვნული ბაღები და ქალაქის ნებისმიერი გამწვანებული ადგილი, ისევე მაღალი ჯარიმებით.

დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმაში სხვა პრიორიტეტებს შორის გამოყოფილია გამწვანების საკითხებიც. კერძოდ ეს საკითხებია: მწვანე სივრცეების შექმნა; ერთ სულ მოსახლეზე 11მ² გამწვანებული მასის უზრუნველყოფა; ბუფერული გამწვანების ზონების განვითარება; და დეგრადირებული ტერიტორიების აღდგენა;⁴⁵

დედაქალაქის საზღვრების გაფართოებამ ერთი მხრივ დადებითად შეცვალა მწვანე საფარის საერთო ბალანსი თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული საზღვრების ფარგლებში, თუმცა, აღნიშნული ფაქტი ქალაქის ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესებად არ უნდა ჩაითვალოს, ვინაიდან არ შეცვლილა არც მოსახლეობის რაოდენობა და არც დასახლებული პუნქტების მახლობლად არსებული გამწვანებული საფარი და განაშენიანებული ტერიტორიები.

3.5. ხმაური

ზემოქმედი ფაქტორები და გარემოს მდგომარეობა

თბილისში ხმაურის ძირითადი წყაროა **ავტოტრანსპორტის მოძრაობა**. გაზომვების საშუალებით დადგენილია, რომ თბილისის მთავარ ქუჩებსა და მაგისტრალებზე პიკის საათებში ხმაური დასაშვებ დონეს აღემატება. შესაბამისად, თბილისის ძირითადი ქუჩებისა და მაგისტრალების მიმდებარედ განლაგებულ საცხოვრებელ და საზოგადოებრივ შენობებთან ხმაურის დონე დადგენილ სტანდარტებზე მეტია.

ავტოტრანსპორტით გამოწვეული ხმაურის ინტენსივობის ზრდა არა მხოლოდ ავტომობილების რაოდენობის მომატებას, არამედ გარკვეულწილად მოძველებული და გაუმართავი ავტომობილების დიდ რაოდენობასაც უკავშირდება. ავტომობილების ხმაურის მახასიათებლების შემოწმება ბოლო 10-15 წლის მანძილზე არ ჩატარებულა, მას შემდეგ რაც გაუქმდა ეკო-დიაგნოსტიური პუნქტები. დამატებით, დღის საათებში ხმაურის მომატებული დონე ძირითადად მძიმე სატვირთო მანქანების და დიდი ავტობუსების მოძრაობით არის განპირობებული.

გარდა ავტოტრანსპორტის მოძრაობისა, ხმაურის წყაროს წარმოადგენს **მსხვილი და საშუალო ზომის სამრეწველო ობიექტებიც**. ჩვეულებრივ, არ არსებობს ეფექტური მექანიზმები სამრეწველო ობიექტებისათვის დადგენილი ხმაურის სტანდარტების აღსრულებისათვის.

თბილისში გაზრდილი **სამშენებლო სამუშაოები** წარმოადგენს დროებითი ხმაურის წყაროს. ასევე, **მწვანე საფარის** შემცირება ასევე უარყოფით გავლენას ახდენს ხმაურის გავრცელებაზე, ვინაიდან ის მნიშვნელოვან როლს თამაშობს ურბანულ გარემოში ხმაურის შემცირებაში.

ზეგავლენა

ურბანულ გარემოში ხმაური წარმოადგენს ადამიანის საქმიანობის და ცხოვრების ბალანსის ხელშემშლელ ერთ-ერთი ფიზიკურ ფაქტორს. მას შეუძლია გამოიწვიოს ფიზიოლოგიური და ფსიქოლოგიური პრობლემები. ხმაურის მაღალი დონე იწვევს რიგ ზეგავლენებს ჯანმრთელობაზე, როგორცაა მაგალითად გაღიზიანება, სტრესი, ჰიპერტენზია, ძილის დარღვევა ან უძილობა, კონცენტრაციის და/ან სწავლისუნარი დაქვეითება, და სხვა.

თბილისში ხმაურის სიტუაციის შესახებ მონაცემები ძალიან მწირია და ადამიანის ჯანმრთელობაზე მისი ზემოქმედება შესწავლილი არ არის.

ქმედებები

საქართველოში ადამიანის ჯანმრთელობაზე ხმაურის ზემოქმედების ნორმებს ადგენს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2001 წლის 16 აგვისტოს ბრძანება №297/ნ "გარემოს ხარისხობრივი მდგომარეობის ნორმების დამტკიცების შესახებ." კერძოდ, ამ დოკუმენტით დგინდება ხმაურის დასაშვები დონეები სამუშაო ადგილებზე, საზოგადოებრივი შენობების სათავსებში და საცხოვრებელი განაშენიანების ტერიტორიაზე. თუმცა, არ არსებობს ამ სტანდარტების განხორციელების ეფექტური მექანიზმები. მსხვილი სამრეწველო ობიექტებისათვის, რომლებიც ექვემდებარებიან გარემოზე ზემოქმედების ნებართვას და გარემოზე ზემოქმედების შეფასებას, ნებართვის გაცემის პროცესში გათვალისწინებულ უნდა იქნას ხმაურის სტანდარტები და შესაბამისად დაიგეგმოს შემარბილებელი ღონისძიებები, რომლებიც შემდეგ ნებართვის პირობებში აისახება. თუმცა, როგორც უკვე აღინიშნა, ნებართვის პირობების შესრულების კონტროლი სუსტია. უფრო მეტიც, მცირე საწარმოები, რომლებიც არ საჭიროებენ გარემოზე ზემოქმედების ნებართვას, მაგალითად ბენზინგასამართი სადგურები, ხისა და ქვის საჭრელი ჩარხები, კომპრესორები და სხვა დანადგარები მუშაობის დროს ასევე წარმოქმნიან ინტენსიურ ხმაურს. თუმცა, არ არსებობს მექანიზმები ამ საწარმოების დაგეგმარების პროცესში ხმაურისაგან დაცვის საკითხების გათვალისწინებისათვის.

როგორც უკვე აღინიშნა, თბილისში ხმაურის ინტენსივობის ზრდა უკავშირდება მოძველებული და გაუმართავი ავტომობილების რაოდენობის გაზრდას. ყოველწლიური სავალდებულო ტექნიკუ-

45 ქ. თბილისის საკრებულოს გადაწყვეტილება №6-17, 2009 წლის 5 ივნისი, დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ.

რი დათვალეირების (მათ შორის ავტომობილების ხმაურის მახასიათებლების) შემოწმების გაუქმების შემდეგ პრაქტიკულად არ არსებობს ხმაურის სტანდარტების აღსრულების მექანიზმები.

2004 წელს განხორციელებული რეკონსტრუქციის შედეგად ე.წ. “სამკუთხედის” მიმდებარე ქუჩებზე ხმაურის დონე შეიცვალა. კერძოდ, ხმაურის მაჩვენებელი 1-2 დბ-ით გაიზარდა ვარაზისხევში, ხოლო მელიქიშვილის ქუჩაზე, მოძრაობის საშუალო სიჩქარის შემცირების გამო, შემცირდა 1 დბ-ით. ასევე 1 დბ-ით შემცირდა ხმაური კოსტავას ქუჩაზეც. ეს აჩვენებს, რომ ხმაურის დონის შეცვლა შესაძლებელია ქუჩების მოძრაობის დაგეგმვით, თუმცა, თბილისში ხმაურის შესახებ არასაკმარისი მონაცემების გამო რთულია ხმაურის შემარბილებელი ღონისძიებების დაგეგმვა, სადაც ეს საჭიროა. ხმაურის დონის გაზომვები განხორციელდა მხოლოდ რამოდენიმე წერტილში და არ შეიძლება მათი განზოგადება ქალაქის მასშტაბით.

უნდა აღინიშნოს, რომ დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალურ გეგმაში წარმოდგენილი კონკრეტული პრიორიტეტების განხორციელება დადებითად იმოქმედებს ხმაურის დონეზე, კერძოდ, ისეთი ღონისძიებები, როგორცაა: მწვანე სივრცეების შექმნა; ბუფერული გამწვანების ზონების განვითარება; საზოგადოებრივ და საცხოვრებელ ტერიტორიებზე რეკრეაციულ ზონებში აკუსტიკური დისკომფორტის ლიკვიდაცია; და საწარმოსა და საცხოვრებელ ტერიტორიებს შორის მწვანე ბუფერული ზონების შექმნა.⁴⁶

3.6. რადიაციული უსაფრთხოება

ზემოქმედი ფაქტორები და გარემოს მდგომარეობა

თბილისსა და მის შემოგარენში შესაძლებელია მოვიძიოთ მაიონიზებული რადიაციის ადამიანის მიერ შექმნილი წყაროები. არსებული წყაროების უმრავლესობა მკაცრი კონტროლის ქვეშაა და ისინი არ უქმნიან საფრთხეს ადამიანის ჯანმრთელობას ან გარემოს. გარემოს დაცვის ეროვნული სააგენტო ყოველდღიურად ზომავს რადიაციის დონეს თბილისში, რაც სახელმწიფოს მიერ დადგენილ ნორმებშია. რადიაციის ფონური დონე მცხეთის დახურულ სამეცნიერო-კვლევით ბირთვულ რეაქტორისა და სოფ. სააკაძის ტერიტორიაზე მდებარე რადიექტიური ნარჩენების განთავსების ყოფილ ადგილას ნორმის ფარგლებშია. ზაჰესის დასახლებაში აგრარული რადიოლოგიისა და ეკოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს რადიექტიური ნივთიერებების დროებითი სათავსი, სადაც

ყველა წყაროს მთლიანი რადიექტიური დონე 210 000 კიურის შეადგენს. რადიაციის აღნიშნული წყაროები, დღესდღეობით, არ გამოიყენება. ყველა მათგანი საიმედოდაა შენახული ტყვიის კონტეინერებში.

სამინისტროს ინფორმაციით, 2010 წლის იანვრისთვის საქართველოში აღირიცხა 750 ორგანიზაცია, რომლებიც ფლობენ ან გამოიყენებენ მაიონიზებული რადიაციის წყაროებს. მრავალი ამ ორგანიზაციიდან ფუნქციონირებს თბილისში. მაიონიზებული რადიაციის ადამიანის ხელით შექმნილი ძირითადი წყაროების გამოყენება ხდება სამედიცინო (დიაგნოსტიკური რენტგენი, ბირთვული მედიცინა და სხივური თერაპია), სამეცნიერო ან სამრეწველო მიზნებისთვის.

საბჭოთა პერიოდიდან შემორჩენილი, კონტროლის გარეშე მყოფი და გამოუყენებელი რადიექტიური წყაროების გამოვლენის, ამოღებისა და უსაფრთხო შენახვის პროცესი ამჟამადც მიმდინარეობს. 1996 წლის შემდეგ თბილისში აღმოჩენილ იქნა ათობით უკონტროლო რადიექტიური წყარო. ამ წყაროების დაახლოებით 1/3 აღმოჩენის მომენტში არ იყო მოთავსებული სათანადო კონტეინერებში.

ზეგავლენა

მაიონიზებული რადიაციის მოქმედება აზიანებს ცოცხალ ქსოვილს, ხოლო დიდი დოზებით დასხივებას შეუძლია გამოიწვიოს მუტაცია, რადიაციული ავადმყოფობა, კიბო და სიკვდილი. ამიტომ, შემუშავებულია რადიაციული უსაფრთხოების ნორმები, რომელთა დაცვა უზრუნველყოფს შესაძლო ზიანის თავიდან აცილებას.

ზოგადად, მაიონიზებული რადიაციის წყაროების, მათ შორის რადიაციული ნარჩენების მართვა თბილისსა და მის შემოგარენში ადეკვატურია. როგორც აღინიშნა, ფონური რადიაციის დონე დედაქალაქში დადგენილი ნორმის ფარგლებშია. თუმცა, კვლავ რჩება ადამიანის ჯანმრთელობის დაზიანების გარკვეული რისკი საბჭოთა პერიოდიდან შემორჩენილი რადიექტიური წყაროებით, რომლებიც შეიძლება არასათანადოდ იყოს განთავსებული სხვადასხვა ადგილებში. მაგ., 1996 წელს თერთმეტმა ჯარისკაცმა მიიღო ჯანმრთელობის დაზიანება ცეზიუმ-137-ის შემცველი რადიექტიური წყაროდან დიდი ლილოს სამხედრო საწვრთნელ ბაზაზე, სადაც ადრე საბჭოთა სამხედრო ბაზა იყო განლაგებული.⁴⁷

ქმედებები

გარემოს დაცვის ეროვნული სააგენტო რეგულარულად ახორციელებს ჰაერში ფონური რადიაციის მონიტორინგს. მაიონიზებული რადიაციის ადამიანის მიერ შექმნილი არსებული წყაროებიც ასევე მკაცრი კონტროლის ქვეშაა. ამჟამად მიმდინარეობს მცხეთის სამეცნიერო-კვლევითი ბირ-

46 ქ. თბილისის საკრებულოს გადაწყვეტილება №6-17, 2009 წლის 5 ივნისი, დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ.

47 ინფორმაცია მოწოდებულია ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სამსახურის მიერ.

თველი რეაქტორის დეკომისია საერთაშორისო ატომური ენერჯის სააგენტოს დახმარებით.

ხმარებაში არსებულ წყაროებთან მუშაობისა და მათი შენახვის პროცედურები რეგულირდება ეროვნული კანონმდებლობით, კერძოდ, „საქართველოს კანონით ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების შესახებ“ (1999). იმ წყაროებს, რომლებიც აღარ გამოიყენება, ენიჭება რადიექტიური ნარჩენის სტატუსი და ინახება დროებით საცავში, რომელიც ამოქმედდა 2007 წელს. საქართველოს ენერჯეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სამსახური ასდენს რადიექტიური ნარჩენების რეგულარულ მონიტორინგს.

საქართველოს კანონი საქართველოს ტერიტორიაზე ნარჩენების ტრანზიტისა და იმპორტის შესახებ კრძალავს სახიფათო და რადიექტიური საყოფაცხოვრებო, სამრეწველო ან სხვა სახის ნარჩენების ტრანზიტს ან იმპორტს. მაიონიზებული რადიაციის წყაროების იმპორტი და ექსპორტი ექვემდებარება ენერჯეტიკის და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მიერ გაცემულ ნებართვას.⁴⁸ აღნიშნული სამსახური, ასევე, პასუხისმგებელია

48 მაიონიზებული რადიაციის წყაროები არ იწარმოება საქართველოში. დღეს არსებული წყაროების მცირე ნაწილი შემორჩენილია საბჭოთა პერიოდიდან. ხდება წყაროების იმპორტი სხვადასხვა საჭიროებებისათვის. ზოგიერთი გამოყენებული წყარო უკანვე უბრუნდება უცხოელ მწარმოებლებს შემდგომი მოხმარებისთვის.

ლიცენზიების გაცემაზე და იმ ორგანიზაციების შემოწმებაზე, რომლებიც ჩართული არიან რადიექტიური წყაროების გამოყენებასთან დაკავშირებულ საქმიანობებში.

ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სამსახური პასუხისმგებელია საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ დარჩენილი უკონტროლო რადიექტიური წყაროების აღმოჩენასა და ნეიტრალიზებაზე. როგორც უკვე იყო აღნიშნული, ბოლო რამოდენიმე წლის განმავლობაში, თბილისში, აღმოჩენილ და ნეიტრალიზებულ იქნა ათობით უკონტროლო რადიექტიური წყარო. დღეისათვის ყველა მათგანი უსაფრთხოდაა შენახული შესაბამის საცავში.⁴⁹

ბირთვული და რადიექტიური ნივთიერებების უკანონო გამოყენებისა და ტრანზიტის პრევენციის და შეზღუდვის მიზნით 2008-2009 წლებში საქართველოს სასაზღვრო გამშვებ პუნქტებში დაიწყო პორტატული დეტექტორების გამოყენება. ბირთვული და რადიექტიური ნივთიერებების ტრანზიტზე კონტროლის დონე ადეკვატურად არის მიჩნეული.


3.7. სტიქიური მოვლენები

ზემოქმედი ფაქტორები და გარემოს მდგომარეობა

ისევე როგორც მთელ საქართველოში, გეო-

49 საქართველოს გარემოს მდგომარეობის ანგარიში 2007-2009, <http://soegeorgia.blogspot.com>

რუკა 3-2 სტიქიური მოვლენების რისკის ზონები თბილისში



დინამიკური პროცესები ძალზე აქტიურია თბილისსა და მის შემოგარენშიც, სადაც მოწყვლად გარემოზე ზეწოლას ახდენს მოსახლეობის დიდი რაოდენობა და ეკონომიკური აქტივობები. გრავიტაციული მეწყერების, ღვარცოფების, ეროზიის და დენუდაციური პროცესების მიმართ რისკის ფაქტორებს შეიცავენ მძიმე საინჟინრო ნაგებობები, შეუსაბამო ადგილას განთავსებული შენობები, მასიური შენობები და ინფრასტრუქტურა. დედაქალაქში მეწყერის დაახლოებით 60 ზონაა აღრიცხული, 20 კილომეტრის სიგრძის (საერთო სიგრძე) ინტენსიური გრავიტაციული პროცესების შედეგად დაზიანებული ფერდობებით⁵⁰. გარემოს ეროვნული სააგენტოს გეოლოგიური საშიშროებების შემსწავლელი ჯგუფის მიერ დადგინდა, რომ არსებული აქტიური მეწყერების უმეტესობა ქალაქის ინფრასტრუქტურისა თუ საცხოვრებელი სახლების შეუსაბამო დაგეგმარების და მშენებლობის შედეგია. 2002 წლის 25 აპრილს მომხდარი მიწისძვრაც ეპიცენტრით თბილისში, რომელმაც საგრძნობლად დააზიანა ქალაქის ინფრასტრუქტურა, ასევე გეო-დინამიკური პროცესების აქტივიზაციით იყო გამოწვეული. ამჟამად, ყველაზე აქტიური მეწყერული ზონებია: მთაწმინდის მთის ჩრდილოეთ ფერდობი; ნუცუბიდის პლატო; მუხათგვერდის მთის ფერდობები; მდინარე ვერეს მარჯვენა სანაპიროს გაყოლებაზე არსებული დიდი ტერიტორია, დაწყებული თამარაშვილის ქუჩიდან ვარაზისხევამდე (ე.წ. ვაკის მეწყერი); სოფელი გლდანის მახლობლად განთავსებული ხევძმარის ხეობა და სხვ.⁵¹

თბილისის ეკონომიკაზე და მოსახლეობაზე უარყოფითი ზეგავლენის მქონე სხვა გეო-დინამიკურ პროცესებს შორის არის ღვარცოფები, რომლებიც წარმოიშვება ექსტრემალურ ამინდებში (ძლიერი წვიმები) ქალაქის მიმდებარე ტერიტორიებზე, მშრალი ხეობების მაღალ მთებზე. მშრალი ხეობების მთლიანი ქსელი თბილისში საკმაოდ დიდია და 240 კმ-ს შეადგენს, 52 ხეობას ძალზე სახიფათო ტალახ-ტრანსფორმირებადი დინამიკა აქვს, ეს ადგილებია: გვაზაური, ჯავა, ლოტკინის მთა, კინალჩიჩის ქ., სამარსახევი, ლედვთახევი, ფუნიკულიორი, სოლოლაკი, მამა დავითი, ნიადვარი, ვერე, ვარაზი, გაგარინის ქ., ლისი, ნუცუბიდის მთა, ბაგები, აბანოთუბანი, საიდაბადი; ასევე პატარა მდინარეები: გლდანულა, ხევძმარა, დიღმისწყალი, ვერე, ლედვთახევი, ნორიოსხევი და ა.შ. ეს პატარა მდინარეები და ხეობები სატრანსპორტო ნაკადს დაბრკოლებას უქმნის და ძლიერი წვიმების პერიოდში აზიანებს ქუჩებს.

ზეგავლენა

ბუნებრივი კატასტროფები უარყოფითად აი-
50 მონაცემები მოწოდებულ იქნა გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ, გეოლოგიური საშიშროებისა და გეოლოგიური გარემოს მართვის დეპარტამენტი, თბილისი, 2010 წ.

51 მონაცემები მოწოდებულ იქნა გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ, გეოლოგიური საშიშროებისა და გეოლოგიური გარემოს მართვის დეპარტამენტი, თბილისი, 2010 წ.

სახეზე ეკონომიკურ ზრდაზე და საფრთხეს უქმნის ადამიანის სიცოცხლეს. მეწყერულ-გრავიტაციული მოვლენები და ღვარცოფები, რომლებიც ისტორიულად ხდებოდა მდინარის აუზების ფერდობებზე, ხელს უშლიდა თბილისის განვითარებას და აზიანებდა ქალაქის ინფრასტრუქტურას. ყოფილა სიკვდილის შემთხვევებიც. ბოლო ასეთ შემთხვევას ადგილი ჰქონდა 1980 წლის 14 მაისს, როცა მდინარე ვერეზე, ძლიერმა ნალექებმა 12 მეტრის სიმაღლის ნიადაგის კედელი ჩამოარღვია, რაც 3-4 მ ქვა-ტალახის ტალღად იქცა და შენობები და ინფრასტრუქტურა გაანადგურა რასაც ადამიანის მსხვერპლიც მოჰყვა⁵².

ქმედებები

საქართველოში არსებობს რამდენიმე კანონი და კანონქვემდებარე აქტი რომლებიც არეგულირებს სტიქიური მოვლენების მართვას. თუმცა ისინი ძირითადად მიმართულია რეაგირებაზე და აღდგენაზე და მხოლოდ მცირედით თუ ეხება სტიქიური მოვლენების რისკების შემცირებას, მათი თავიდან აცილებისა და შემარბილებელი ღონისძიებების ჩათვლით⁵³.

დამატებით, იმის გამო, რომ არ არსებობს საკმარისი რაოდენობის სადამკვირვებლო სადგურები, შესაბამისი მოწყობილობები და საჭირო დაფინანსება, ამჟამინდელი დაკვირვების შედეგად მიღებული მონაცემები არასამარისია სტიქიური მოვლენების ეფექტური მართვისა და რისკების შემცირებისათვის. გარემოს ეროვნული სააგენტო ფლობს ვრცელ ისტორიულ მონაცემებს სტიქიური მოვლენების შესახებ საქართველოში. თუმცა, ეს ინფორმაცია ხელმისაწვდომია მხოლოდ ქალაქში დაბეჭდილი სახით, და მისი ეფექტური გამოყენება ვერ ხერხდება. ამას ემატება ცენტრალიზებული მონაცემთა ბაზის და განახლებული სტიქიური მოვლენების საშიშროებათა და რისკების რუკების არარსებობა, რაც ამცირებს სანდო ინფორმაციის დროულად ხელმისაწვდომობას და შემარბილებელი ღონისძიებების სათანადოდ დაგეგმვის შესაძლებლობას.⁵⁴

3.8. კლიმატის ცვლილება

ზემოქმედი ფაქტორები და გარემოს მდგომარეობა

2009 წლის ფონური ემისიების ინვენტარიზაციის თანახმად, CO₂-ის ემისიის ძირითად წყაროს თბილისში ადგილობრივი ტრანსპორტის სექტორი წარმოადგენს. მშენებლობის სექტორი იდენტიფიცირებულია როგორც სათბურის აირების ემისიის მეორე ყველაზე დიდი წყარო.

52 მონაცემები მოწოდებულ იქნა გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ, გეოლოგიური საშიშროებისა და გეოლოგიური გარემოს მართვის დეპარტამენტი, თბილისი, 2010 წ.

53 UNECE, The Second Environmental Performance Review, Georgia, 2010.

54 UNECE, მეორე გარემოსდაცვითი მიმოხილვა, საქართველო, 2010.

საქართველოს რომელიმე კონკრეტულ ქალაქში მიმდინარე კლიმატური ცვლილების ტენდენციებზე და შედეგებზე ძალზე მწირი ინფორმაცია არსებობს. თუმცა, სამხრეთ კავკასიის რეგიონში UNDP/ENVSEC პროექტის "კლიმატის ცვლილების ზეგავლენის შესწავლა სამხრეთ კავკასიის რეგიონში" ფარგლებში მოახდინა სამხრეთ კავკასიის მსხვილი ქალაქების, მათ შორის თბილისის ურბანული სითბური ტალღების ტენდენციების მოდელირება. კვლევა აფასებს კლიმატური ცვლილების ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ინდიკატორს – სითბურ მაჩვენებელს, რაც წარმოადგენს წლის თბილ პერიოდში ჰაერის ტემპერატურისა და ფარდობითი ტენიანობის კომბინაციას. გამოთვლებისა და პროგნოზის ანალიზმა აჩვენა რომ ბოლო 15-20 წლის განმავლობაში (1990-2007 წწ.) სითბური მაჩვენებლების ექვსიდან ოთხი კატეგორია გაიზარდა და მომავალი ათწლეულების პერიოდშიც მოსალოდნელია მათი ძლიერი ზრდა.⁵⁵

ზეგავლენა

კლიმატის ცვლილება უარყოფითად აისახება ადამიანის ჯანმრთელობაზე და შეიძლება სერიოზული რისკი შეუქმნას გულსისხლძარღვთა პრობლემების მქონე ადამიანებს, ისევე როგორც მოხუცებსა და ბავშვებს.

დამატებით, კლიმატური ცვლილებები დედამიწაზე გეოდინამიკური პროცესების აქტივაციის ერთ-ერთი ძირითადი გამომწვევია. საქართველო, როგორც ერთ-ერთი ყველაზე მგრძობიარე რეგიონი თავისი მწვავე გეოლოგიური პროცესებით, ტექტონიკური პირობებით, კლიმატითა და ტოპოგრაფიით, განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდება როცა პროგნოზირებული ამინდის ექსტრემალური კონდიცია კრიტიკულ დონეს მიაღწევს.

ქმედებები

თბილისში არსებობს ენერგოეფექტურობის გაუმჯობესების და ენერჯის წარმოებასთან და გამოყენებასთან, მათ შორის სათბურის აირების ემისიასთან დაკავშირებული გარემოზე ზემოქმედებების შემცირების მნიშვნელოვანი პოტენციალი. ქალაქის მთავრობა აცნობიერებს აღნიშნული საკითხის მნიშვნელობას და პრობლემის მოსაგვარებლად უკვე დგამს პირველ ნაბიჯებს. 2010 წლის მარტში თბილისის მერმა ხელი მოაწერა მერების შეთანხმებას. ეს არის ევროკომისიის ინიციატივა, რომელიც მიზნად

55 თბილისისთვის სიციხის მაჩვენებლების გამოთვლისა და დამუშავების მონახაზი, UNDP/ENVSEC-ის პროექტი: სამხრეთ კავკასიის რეგიონის რეგიონალური კლიმატის ცვლილებათა ზეგავლენის შესწავლა, 2010 წ.

ისახავს 2020 წლისათვის ნახშირორჟანგის (CO₂) ემისიების სულ მცირე 20%-ით შემცირებას. აღნიშნული მიზნის მისაღწევად თბილისის მერიამ დედაქალაქისათვის შეიმუშავა მდგრადი ენერჯის სამოქმედო გეგმა, რომელიც ქალაქის ხელისუფლებამ 2011 წლის 28 მარტს დაამტკიცა.⁵⁶

თბილისის მდგრადი ენერჯის სამოქმედო გეგმის ფარგლებშია სამი ძირითადი ენერჯო სექტორი – ტრანსპორტი, შენობები და ინფრასტრუქტურა (მუნიციპალური ნარჩენები და ჩამდინარე წყლების გაწმენდა, ქუჩის განათება, ელექტროენერჯისა და გაზგამანაწილებელი ქსელები და გამწვანების ზონები). **სატრანსპორტო სექტორის** სტრატეგია ითვალისწინებს: ტრანსპორტის ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციას და განვითარებას, მგზავრთა საერთო ბრუნვაში საზოგადოებრივი ტრანსპორტის წილის ზრდას, ელექტროტრანსპორტის სისტემის განვითარებას, კერძო ავტომობილების მობილობის შემცირებასა და სხვადასხვა აკრძალვებითა და წამახალისებელი მექანიზმებით მცირე ემისიის მქონე მანქანების რაოდენობის ზრდის ხელშეწყობას.

თბილისის სტრატეგიული გეგმა ითვალისწინებს ენერგოეფექტურობის რამდენიმე ღონისძიების განხორციელებას **შენიშნულობის სექტორში**. მათ შორის: ელექტროენერჯის გამანაწილებელი სისტემის დანაკარგების შემცირებას, ენერგოეფექტურობის ღონისძიებების განხორციელებას წყალმომარაგების სისტემაში, გათბობის გამანაწილებელი სისტემის დანაკარგების შემცირებას მუნიციპალურ და სახელმწიფო შენობებში, მრიცხველების გამოყენებას და გაზგამანაწილებელი სისტემის დანაკარგების შემცირებას. დამატებით, თბილისის მდგრადი ენერჯის სამოქმედო გეგმა მოიცავს ზოგიერთ ქმედებას განახლებადი ენერჯის განვითარების ხელშეწყობისათვის, მაგ., როგორცაა მზისა და გეოთერმული ენერჯის და ბიონარჩენების გამოყენება.

მუნიციპალური ინფრასტრუქტურის სტრატეგია მოიცავს ექვს ქვესექტორს და მიზნად ისახავს მუნიციპალურ ნაგავსაყრელებზე (როგორც დახურულ, ასევე ახალ ნაგავსაყრელებზე) და ჩამდინარე წყლების გამწმენდ ნაგებობებზე წარმოქმნილი მეთანის შეგროვებას, შეგროვებული მეთანის დაწვას ან ენერჯის წყაროს სახით გამოყენებას; გარე განათების სექტორის ენერგოეფექტურობის გაუმჯობესებას და მასში განახლებადი ენერჯის წილის გაზრდას; და დედაქალაქის საზღვრებში გამწვანებული ზონების განვითარებას.

56 მდგრადი ენერჯის სამოქმედო გეგმა – თბილისი, დამტკიცებულია 2011 წლის 28 მარტს, გადაწყვეტილებით N 07.10.237.

4. პოლიტიკის ალტერნატივები

მიმდინარე თავი გამოყოფს თბილისისათვის ყველაზე მნიშვნელოვან გარემოსდაცვით საკითხებს; ასევე, მიმოიხილავს მონაცემების ნაკლებობასთან დაკავშირებულ პრობლემებს და გარემოსდაცვითი პოლიტიკის სუსტ მხარეებს; და იძლევა სპეციფიურ რეკომენდაციებს თითოეული გარემოსდაცვითი სექტორისათვის, რათა უფრო მეტად იყოს უზრუნველყოფილი თბილისის მდგრადი მომავალი. დასასრულს, ახსნილია თუ რა შეიძლება იყოს კარგი გარემოსდაცვითი პოლიტიკის თანასარგებელი, რაც ერთგვარი დასაბუთებაა იმისა, თუ რატომ აქვს მნიშვნელობა თბილისის მწვანე ქალაქად გარდაქმნაზე მუშაობას სხვადასხვა თვალსაზრისით (ეკონომიკურად, ადამიანის ჯანმრთელობის მხრივ და თავად ფიზიკური გარემოს პერსპექტივიდან გამომდინარე (ესთეტიკა, უსაფრთხოება, სხვ.)).

4.1. პრიორიტეტული გარემოსდაცვითი საკითხები

GEO-ქალაქები: თბილისი 2011 შეფასებაზე დაყრდნობით გამოიკვეთა თბილისისათვის ყველაზე მწვანე გარემოსდაცვითი საკითხები. ესენია:

- ჰაერის დაბინძურება;
- წყლის დაბინძურება; და
- მწვანე საფარის შემცირება.

ასევე ყურადსაღებია შემდეგი პრიორიტეტული საკითხები:

- მყარი ნარჩენების მართვა; და
- ხმაური.

მონიტორინგის არსებული მონაცემებით, ჰაერის დაბინძურება თბილისის ბევრ ადგილას აჭარბებს ეროვნულ ნორმებს. ავტოტრანსპორტი ჰაერის დაბინძურების ძირითადი წყაროა თბილისში. ამასთან, მშენებლობები და საცხოვრებელი ტერიტორიების ზრდა, განსაკუთრებით მდინარე მტკვარის მიმდებარედ და მთისწინებში, ხელს უშლის ჰაერის ბუნებრივ ვენტილაციას და მოქმედებს ჰაერის საერთო ხარისხზე ქალაქში.

გაუწმენდავი მუნიციპალური ჩამდინარე წყლები საქართველოში ზედაპირული წყლების, და განსაკუთრებით, თბილისში მდინარე მტკვარის ძირითად დამაბინძურებელს წარმოადგენს. გარდა ამისა, რეკრეაციული ტემების ბაქტერიოლოგიურმა დაბინძურებამ შეიძლება გამოიწვიოს ჯანმრთელობის პრობლემები.

და ბოლოს, ქალაქსა და მის შემოგარენში მწვანე საფარის განადგურება ამცირებს რეკრეაციულ

ტერიტორიებს და იმავდროულად, უარყოფითად მოქმედებს ჰერის ხარისხსა და კლიმატის განმაპირობებელ კომპონენტებზე.

2010 წლის 6-8 ივლისს, თბილისში ჩატარებული GEO-ქალაქების საორიენტაციო და მეთოდოლოგიის ტრენინგის სამუშაო შეხვედრისას, სხვადასხვა დაინტერესებული მხარეების (ეროვნული და ადგილობრივი გარემოსდაცვითი სტრუქტურები, არასამთავრობო ორგანიზაციები, უნივერსიტეტებისა და მედიის წარმომადგენლები) მიერ მოხდა თბილისის გარემოსდაცვითი პრობლემების პრიორიტეტიზება იმ მიზნით, რომ გამოკვეთილიყი ქალაქში ყველაზე მწვანე გარემოსდაცვითი საკითხები, რომლებიც საჭიროებენ მყისიერ ყურადღებას. შეხვედრაზე გამოიკვეთა 5 ყველაზე მნიშვნელოვანი კომპონენტი. ესენია:

- ჰაერის დაბინძურება;
- მყარი ნარჩენები;
- ზედაპირული წყლების დაბინძურება;
- ხმაური და ვიბრაცია; და
- მწვანე საფარის/რეკრეაციული ადგილების შემცირება.

ჩამოთვლილი კომპონენტები თითქმის იგივეა რაც IEA ანგარიშში გამოყოფილი კომპონენტები, რაც ადასტურებს ამ საკითხების პრიორიტეტულობას და გადაუდებელი ქმედებების განხორციელების საჭიროებას.

4.2. მონაცემთა ნაკლებობა და პოლიტიკის ნაკლოვანებები

GEO-ქალაქები: თბილისი 2011 ანგარიშის მომზადებისას გამოვლინდა მონაცემების ნაკლებობა და პოლიტიკის ნაკლოვანებები თითქმის ყველა გარემოსდაცვით სექტორში.

მრავალ სფეროში არ არსებობს საიმედო სტატისტიკური მონაცემები. ხანდახან, მონაცემები მოიპოვება ეროვნულ დონეზე, მაგრამ არ არსებობს მონაცემები ცალკეული ქალაქებისა თუ რეგიონებისათვის. მაგ. სპეციფიური მონაცემების არარსებობის გამო შეუძლებელია თბილისისათვის ისეთი დემოგრაფიული და სოციალური ინდიკატორების განსაზღვრა, როგორცაა შიდა და საერთაშორისო მიგრაციები ბოლო 20 წლის მანძილზე, სიღარიბის დონე და შემოსავლების უთანასწორობა, საზოგადოებრივი ჯანმრთელობა და სიცოცხლის ხანგრძლივობა, და სხვ.

არ არსებობს საკმარისი მონაცემები და კვლევები სხვადასხვა ეკონომიკური სექტორის

გარემოზე ზემოქმედების შეფასებისათვის. გარემოს დაბინძურების მონიტორინგი ძალიან შეზღუდული შესაძლებლობებით ხორციელდება. ქალაქში არსებობს მხოლოდ 3 ჰაერის დაბინძურების მონიტორინგის სადამკვირვებლო სადგური. მოძველებული სინჯების ასაღები მოწყობილობების და ლაბორატორიებში ხარისხის უზრუნველყოფისა და კონტროლის სისტემის არარსებობის გამო ვერ ხერხდება ჰაერის ყველა ძირითადი დამაბინძურებლების გაზომვა. აქედან გამომდინარე, შეუძლებელია ჰაერის ხარისხის ადეკვატური შეფასება და ქალაქში დამაბინძურებელი ნივთიერებების რეალური სივრცითი განაწილების სათანადო მოდელირება. არ არსებობს სანდო ინფორმაცია საქართველოში მოხმარებულ ბენზინში ტყვიის შემცველობისა და შედეგად ავტოტრანსპორტის მიერ ჰაერში გაფრქვეული ტყვიის რაოდენობის შესახებ.⁵⁷ ასევე არ არსებობს მონაცემები ჰაერის დაბინძურების შესახებ სამშენებლო სექტორიდან ან ინდივიდუალური გამათბობლებიდან და ბუნებრივი გაზის მოხმარებიდან.

შეზღუდულია ზედაპირული წყლის ობიექტების მონიტორინგიც. წყლის მონიტორინგის ქსელი ძირითადად მხოლოდ მდინარე მტკვარს მოიცავს. წყლის დამაბინძურებელი კომპონენტებიდან ხდება უმეტესად მხოლოდ არაორგანული ნივთიერებების გაზომვა. არ იზომება ისეთი მნიშვნელოვანი ორგანული კომპონენტები, როგორცაა მაგალითად პესტიციდები. მიწისქვეშა წყლების ჰორიზონტების მონიტორინგი 20 წელია არ ჩატარებულა. ბაქტერიოლოგიურ მონიტორინგს თბილისის რეკრეაციულ ტბებზე არასისტემატური ხასიათი აქვს.

არ არსებობს ზუსტი სტატისტიკური მონაცემები ნარჩენების წარმოქმნის შესახებ ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში. წლების მანძილზე ნარჩენების შესახებ მონაცემების გაყალბება და მანიპულირება ხდებოდა. მუნიციპალური ნარჩენების რაოდენობის შედარებით ზუსტი აღრიცხვა რამდენიმე წლის წინ დაიწყო, მაგრამ ეს მონაცემები ძირითადად ქალაქის მუნიციპალიტეტის შიდა გამოყენებისთვისაა. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური ჯერ-ჯერობით არ აწარმოებს ოფიციალურ მონაცემებს ნარჩენების შესახებ. თითქმის არანაირი ინფორმაცია არ არსებობს სამრეწველო და საშიშ ნარჩენებთან დაკავშირებით. ასევე არ არის სანდო მონაცემები სამედიცინო ნარჩენებზე. სხვადასხვა წყარო სხვადასხვა მონაცემებს წარმოადგენს. ასევე მწირია მონაცემები მუნიციპალური ნარჩენების შემადგენლობის შესახებ.

ქალაქში ხმაურის დონის გაზომვები არათა-

57 საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი. 2007 წლის დეკემბრის ბიულეტენი №106-ისათვის მომზადებული ავთო ბუდალაშვილის სტატია: ჰაერის ხარისხი და ჰაერში ემისიის წყაროები. ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: <http://aarhus.ge/index.php?lang=eng&page=243>

ნმმდევრული და ფრაგმენტული ხასიათისაა. ჩატარებული გაზომვები არ იძლევა ინფორმაციას ხმაურის არსებული სიტუაციის შესახებ ქალაქის ყველა რაიონში.

არ არსებობს განახლებული ინფორმაცია ერთ სულ მოსახლეზე მწვანე საფარის შესახებ. არ არის დადგენილი რა იყოს აღებული საფუძვლად და სად მოხდეს საზღვრების დაფიქსირება კალკულაციისათვის. ქალაქში და მის შემოგარენში მიმდინარე სასოფლო-სამეურნეო აქტივობების შესახებ ძალზე მწირი ინფორმაცია არსებობს. შესაბამისად, აღნიშნულ სექტორთან დაკავშირებული გარემოზე ზეგავლენის ფატორების შესახებ ცნობები კიდევ უფრო შეზღუდულია.

განახლებადი ენერგორესურსების გამოყენების პოტენციალი, მაგ, გეოთერმული წყლები, მზის და ქარის ენერჯია, ჯერ-ჯერობით სუსტად არის შესწავლილი და შესაბამისად მცირედ გამოყენებული.

საქართველოს რომელიმე კონკრეტულ ქალაქში მიმდინარე კლიმატის ცვლილების ტენდენციებზე და აქედან გამომდინარე შედეგებზე ძალზე მწირი ინფორმაცია არსებობს.

მონაცემთა არარსებობის გამო შეუძლებელი ხდება სხვა ტიპის შეფასებების გაკეთება. მაგალითად, რთულია ადამიანის ჯანმრთელობაზე არსებული გარემოს პირობების ზეგავლენის შეფასება. ასევე, რთულია შეფასდეს თბილისში ტურიზმთან დაკავშირებული გარემოზე არსებული ან პოტენციური უარყოფითი ზეგავლენა.

მონაცემთა არარსებობა ხელს უშლის გარემოს არსებული მდგომარეობის შესახებ სრულყოფილი სურათის შექმნას და შედეგად ქმედებების დაგეგმვას ყველაზე მწვავე გარემოსდაცვითი საკითხების გადასაჭრელად. მეორე მხრივ, თითქმის ყველა გარემოსდაცვით სექტორში არსებული პოლიტიკის ნაკლოვანებები აფერხებს გარემოსდაცვითი სტანდარტების ეფექტურ აღსრულებას.

გარემოსდაცვითი კანონმდებლობა ბევრ შემთხვევაში საკმაოდ ზოგადია და არ შეიცავს განხორციელების ეფექტურ მექანიზმებს. ამასთან, კანონმდებლობა ხშირად არ არის მიზანმიმართული, რაც იმას ნიშნავს, რომ ის არის დაფუძნებული პოლიტიკის კონკრეტულ მიმართულებებზე. მაგალითად, არსებობს ზოგადი რეგულაციები ჰაერის დაცვის შესახებ. თუმცა, განხორციელების მექანიზმების არარსებობის გამო ისეთი რეგულაციების აღსრულება, როგორცაა მაგ. საწვავის ხარისხის ნორმები და ავტოტრანსპორტის ემისიების სტანდარტები არასოდეს მოხდარა. იმავდროულად, არ არსებობს სპეციფიური პოლიტიკა რომელიც ტრანსპორტით გამოწვეული ჰაერის დაბინძურების შემცირებისაკენ იქნებოდა მიმართული.

არსებული კანონმდებლობა წყლის შესახებ

დანაწევრებული და ხშირ შემთხვევაში წინააღმდეგობრივია. წყლის ხარისხის მართვისა და წყლის ჭარბი მოხმარების პრევენციის სპეციფიური მექანიზმების არარსებობის გამო იგი არ იძლევა წყლის რესურსების ეფექტური მართვის საშუალებას. გარემოსდაცვითი ნებართვებისა და ლიცენზიების სისტემაში და სხვა შესაბამის კანონმდებლობაში განხორციელებული მნიშვნელოვანი ცვლილებების პარალელურად არ მომხდარა ცვლილებები არსებულ კანონში წყლის შესახებ, რის გამოც იგი აბსოლუტურად არარელევანტური გახდა.⁵⁸ ამასთან, საკმაოდ სუსტია კოორდინაცია იმ უწყებებს შორის, რომლებიც პასუხისმგებელი არიან წყლის მართვის სხვადასხვა ასპექტებზე.

არ არსებობს სახელმწიფო პოლიტიკა და კანონმდებლობა ნარჩენების შესახებ. არსებული მწირი რეგულაციები უმეტესად მოძველებულია და საჭიროებს არსებული სიტუაციისა და თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად შეცვლას. არასათანადოდ ხდება სამრეწველო და სამედიცინო ნარჩენების რეგულირება. ამასთან, კონკრეტული ნარჩენების ტიპების შესახებ მონაცემთა სიმცირე ხელს უშლის ნარჩენების მართვის ალტერნატიული, უფრო მდგრადი პრაქტიკის დაგეგმვას.

დღესდღეობით საქართველოში გარემოსდაცვითი რეგულირების ერთადერთი მექანიზმი იმ საქმიანობების მიმართ, რომლებიც იწვევენ მნიშვნელოვან ზემოქმედებას გარემოზე, არის გარემოზე ზემოქმედების ნებართვა. ნებართვის გაცემის პროცესში, გათვალისწინებულ უნდა იქნას სხვადასხვა გარემოსდაცვითი სტანდარტები როგორცაა წყლის მოხმარება, წყალში და ჰაერში ემისიები, ხმაურით დაბინძურება, ნარჩენების მართვა და სხვ. და შესაბამისად უნდა მოხდეს სპეციფიური შემარბილებელი ღონისძიებები შემუშავებაც. თუმცა, ზოგადად, ნებართვების სისტემა სუსტია. სანებართვო პირობები ყოველთვის არ ასახავს ყველა საჭირო განსახორციელებელ ზომებს, რითაც თავიდან უნდა იქნას აცილებული გარემოზე უარყოფითი ზემოქმედება. ამასთან, რესურსების ნაკლებობის გამო, არსებობს სანებართვო პირობების აღსრულების პრობლემაც.

საქმიანობები, რომლებიც არ ექვემდებარება გარემოსდაცვით ნებართვას უნდა აკმაყოფილებდეს გარემოსდაცვით ტექნიკურ რეგულაციებს. თუმცა, ტექნიკური რეგულაციები ყველა საწარმოსათვის აწესებს სტანდარტული გაფრქვევის ლიმიტებს, რაც არ იძლევა იმის საშუალებას, რომ გათვალისწინებული იყოს გარემოს სენსიტიურობა ან კუმულატიური ეფექტი, რამდენიმე საწარმოს ერთტერიტორიაზე კონცენტრირებულად განლაგების შემთხვევაში. დამატებით, რესურსების სიმცირის გამო ტექნიკური რეგულაციების აღსრუ-

58 ეროვნული გარემოსდაცვითი მოქმედებათა გეგმა, თავი წყლის რესურსების მართვის შესახებ, სამუშაო ვერსია, 2010 წ.

ლებაც ასევე პრობლემურია.

დემოკრატიული მმართველობის აუცილებელი კომპონენტია საზოგადოების მონაწილეობა. ამავდროულად, ის დამხმარე ინსტრუმენტი ინფორმირებული გადაწყვეტილების მიღებისათვის, ვინაიდან გადაწყვეტილების მიმღებთათვის ის წარმოადგენს ინფორმაციის წყაროს არა მხოლოდ ტექნიკური საკითხების, არამედ მოქალაქეების საჭიროებების შესახებაც. ამასთან, მონაწილეობა უზრუნველყოფს საზოგადოების მიერ გადაწყვეტილებების უკეთესად მიღებას, რაც ამცირებს კონფლიქტური სიტუაციების წარმოქმნის რისკს. საქართველო ორჰუსის კონვენციის მხარეა 2000 წლიდან. ორჰუსის კონვენცია ხელმომწერ მხარეებს ავალდებულებს უზრუნველყონ საზოგადოებისათვის გარემოსთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობა და გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებების პროცესში საზოგადოების ჩართვა. კონკრეტულად, ორჰუსის კონვენცია მოითხოვს სამი სახის მონაწილეობის უზრუნველყოფას: მონაწილეობა სპეციფიური საქმიანობის შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცესში; მონაწილეობა გარემოსთან დაკავშირებული გეგმების, პროგრამების და პოლიტიკის შემუშავების პროცესში და მონაწილეობა აღმასრულებელი დებულებების და/ან საყოველთაოდ მისაღები სამართლებრივად სავალდებულო ნორმატიული დოკუმენტების შემუშავების პროცესში, რომლებსაც შესაძლოა ჰქონდეთ მნიშვნელოვანი ზეგავლენა გარემოზე. საქართველოში ორჰუსის კონვენციას პირდაპირი მოქმედების ძალა აქვს, რაც იმას ნიშნავს რომ მისი განხორციელებისათვის, არ არ არის აუცილებელი მისი გადატანა ეროვნულ კანონმდებლობაში. უფრო მეტიც, მას უპირატესობა გააჩნია ეროვნულ ნორმატიულ აქტებთან შედარებით.⁵⁹ მიუხედავად ამისა, ორჰუსის კონვენციის მოთხოვნები არ არის შესრულებული. ამჟამად საქართველოში არ არსებობს ძლიერი მექანიზმები, რომელიც ხელს შეუწყობს საზოგადოების მონაწილეობას გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების პროცესში. ეროვნული კანონმდებლობა არ ეგულირებს საზოგადოების მონაწილეობას მხოლოდ სპეციფიური საქმიანობების გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გაცემის პროცედურით. თუმცა, ამ პროცედურას ახლავს მთელი რიგი ხარვეზებისა, რის გამოც ვერ ხერხდება გადაწყვეტილების მიღების პროცესში ფაქტობრივი მონაწილეობის უზრუნველყოფა. ამასთან, კანონი არ ითვალისწინებს გეგმებისა და პროგრამების და ნორმატიული აქტების შემუშავების პროცესში მონაწილეობას, მაგ. ისეთი დოკუმენტების შემუშავებისას როგორცაა დედაქალაქის პერსპექტიული

59 საქართველოს კონსტიტუცია, 1995 წლის 24 აგვისტო, მუხლი 6; საქართველოს კანონი საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ, 1997 წლის ოქტომბერი, მუხლი 6; საქართველოს კანონი ნორმატიული აქტების შესახებ, 2009 წლის 22 ოქტომბერი

განვითარების გენერალური გეგმა, ან გარემოსთან დაკავშირებული ნორმატიული დოკუმენტები.

4.3. პოლიტიკის სპეციფიური რეკომენდაციები

4.3.1. ატმოსფერული ჰაერი

ტრანსპორტიდან წარმოქმნილი ემისიის დონის შესამცირებლად საჭიროა ერთობლივი ღონისძიებების გატარება სხვადასხვა უწყების მიერ. ამ ღონისძიებებს შორისაა:

- თბილისში ტრანსპორტის მოძრაობის მართვის გაუმჯობესება/ოპტიმიზაცია;
- იმპორტირებულ ავტომობილებზე ასაკობრივი ლიმიტის დაწესება;
- ეკონომიკური ინსტრუმენტების/გადასახადების შემოღება, რაც სტიმულს მისცემს უფრო ახალი ავტომობილების იმპორტს და აღარ წაახალისებს ძველი მანქანების შემოყვანას;
- საწვავის ხარისხისა და ემისიების სტანდარტების თანდათანობითი გამკაცრება – ამ მოთხოვნათა აღსრულების უზრუნველყოფასთან ერთად;
- კატალიზური გარდაქმნელის სავალდებულო გამოყენების წესის შემოღება;
- მანქანების ყოველწლიური ტექნიკური დათვალიერების ხელახალი შემოღება, ემისიების შემოწმების ჩათვლით;
- ქალაქში საზოგადოებრივი ტრანსპორტის გაუმჯობესება; და
- ელექტრო ტრანსპორტის ინფრასტრუქტურის განვითარება და ტრანსპორტის ალტერნატიული სახეობების წინა პლანზე წამოწევა;

მიუხედავად იმისა, რომ თბილისში სამრეწველო სექტორიდან ჰაერში ემისიის მთლიანი მოცულობა ძალიან მცირეა, კონკრეტული სამრეწველო ობიექტების მიერ ჰაერის დაბინძურებას მაინც შეუძლია სერიოზული პრობლემა შეუქმნას მიმდებარე გარემოს, თუ მათ მიერ არ იქნება დაცული ემისიის ნორმები. ეს, მოითხოვს გარემოს დაცვის ინსპექციის შესაძლებლობების გაძლიერებას, რათა უზრუნველყოფილ იქნას საწარმოებიდან წარმოქმნილი ემისიების ეფექტური კონტროლი.

როგორც ზემოთ აღინიშნა, თბილისის მუნიციპალური მთავრობა გეგმავს რკინიგზის გასწვრივ მდებარე მრავალი საწარმოს დემონტაჟს ან მათ გადატანას ქალაქის აღმოსავლეთ ნაწილში. მართალია, ასეთი ცვლილება გააუმჯობესებს ქალაქის ცენტრის გარემოს მდგომარეობას, მაგრამ, ამავდროულად, ასეთმა ქმედებამ არ უნდა მოახდინოს პრობლემის ერთი ადგილიდან მეორეში გადატანა. თავიდან უნდა იქნეს აცილებული საწარმოო ობიექტების კონცენტრაცია ახალ

ადგილზე. საწარმოო ობიექტები უნდა აშენდეს დასახლებული ადგილებიდან, ოფისებიდან, საავადმყოფოებიდან, გამწვანების ზონიდან და სხვა მსგავსი ადგილებიდან საკმაოდ მოშორებით.

გარდა ღონისძიებებისა, რომლებიც მიზნად ისახავს სატრანსპორტო და სამრეწველო სექტორიდან ემისიების შემცირებას, ნაბიჯები უნდა გადაიდგას ჰაერის დაბინძურების შემცირებისკენ შემდეგი ქმედებების განხორციელებით:

- მშენებლობებისა და ინფრასტრუქტურული განაშენიანებების აკრძალვა ქალაქსა და მის შემოგარენში არსებულ მწვანე ზონებში;
- ახალი მწვანე ზონების გაშენება ან დეგრადირებული მწვანე ზონების აღდგენა ქალაქსა და მისი შემოგარენში, მაგ. ლისის ტბისა და თბილისის ხელოვნური წყალსაცავის ირგვლივ; და
- მრავალსართულიანი შენობების აშენების აკრძალვა, განსაკუთრებით მდინარე მტკვრის ხეობის გასწვრივ და ქალაქის გარშემო მდებარე მთების ზედა ნაწილებში, რამაც შეიძლება დააბრკოლოს ქარის მოძრაობა და შესაბამისად ჰაერის ბუნებრივი გაწმენდისა და თბილისის კლიმატის რეგულირების პროცესი.

აღნიშნული ღონისძიებები ძალზე მნიშვნელოვანია, თუ მხედველობაში მივიღებთ ბოლო ათწლეულების განმავლობაში საშუალო წლიური ტემპერატურის ზრდის ტენდენციას აღმოსავლეთ საქართველოში (სადაც დედაქალაქი მდებარეობს) და მომდევნო ათწლეულებში მოსალოდნელი გლობალური დათბობის დაჩქარებულ პროცესს.⁶⁰

გარდა ამისა, აუცილებელია მავნე ნივთიერებების ემისიის აღმოფხვრა, რაც გამოწვეულია ძველ საყოფაცხოვრებო ნარჩენების ნაგავსაყრელებზე – „გლდანი“ და „იაღლუჯა“ ნარჩენების წვის შედეგად. თბილისის მუნიციპალურმა მთავრობამ უნდა უზრუნველყოს ამ ნაგავსაყრელების სათანადო კონსერვაცია.

ქალაქში ჰაერის ხარისხის შესახებ უფრო ნათელი სურათის შექმნისათვის საჭიროა ჰაერის მონიტორინგის ქსელის შემდგომი გაფართოება და მოდერნიზაცია.

ამ თვალსაზრისით, გარემოს დაცვის უწყებების მიერ შემდეგი სამუშაოებია შესასრულებელი:

- თბილისში ჰაერის მონიტორინგის არსებული ქსელის გაფართოება. ეს უნდა მოიცავდეს ქალაქში ახალი მონიტორინგის ადგილების შერჩევას და ამ ადგილებში ჰაერის ხარისხის საზომი სადგურების მოწყობას, რაც უზრუნველყოფს ქალაქში ჰაერის ხარისხის მდგომარეობის შესახებ გაუმჯობესებული ინფორმაციის დაგროვებას;

60 საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტროს UNFCCC მეორე ეროვნული კომუნიკაცია, თბილისი, 2009.

- შერჩეულ პუნქტებში ჰაერის ხარისხის გაზომვის ავტომატიზებული სადგურების დამონტაჟება;
- ჰაერის ხარისხის საზომი, სულ მცირე, 1 მობილური ლაბორატორიის შექმნა, რათა შემოწმდეს ჰაერის ხარისხი ქალაქის სხვადასხვა წერტილებში;
- ჰაერის ხარისხის მოდელირების კომპიუტერული პროგრამის შექმნა და სპეციალისტების მომზადება მისი გამოყენების მიზნით;
- დამაბინძურებელი ნივთიერებების სპექტრის გაფართოება, რომელთა კონცენტრაციაც გაიზომება სხვადასხვა სადამკვირვებლო პუნქტებში. გასაზომი დამაბინძურებლების სიაში უნდა შევიდეს ისეთი ნივთიერებები, როგორცაა მიწისპირა ოზონი, მტკრის წვრილი ნაწილაკები (PM₁₀, PM_{2.5}), აქროლადი ორგანული ნაერთები (VOC), პოლიარომატული ნახშირწყალბადი (PAH) და ტყვია;
- საზოგადოებისთვის ჰაერის ხარისხთან დაკავშირებული ინფორმაციის სწრაფი და მარტივი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა ინტერნეტ პორტალისა და ვებ გვერდის შექმნით.⁶¹ მონაცემები წარმოდგენილი უნდა იყოს ისეთი ფორმატით, რომ ფართო საზოგადოებას ადვილად შეეძლოს წარმოდგენა იმის შესახებ, თუ რამდენად სუფთაა ან დაბინძურებულია ჰაერი დედაქალაქში.

ასევე, რეკომენდებულია, რომ ჰაერის ხარისხის ეროვნული ნორმები და ჰაერის ხარისხის გაზომვის მეთოდოლოგია შეიცვალოს ევროკავშირის მთხოვნების და პრაქტიკის შესაბამისად.

4.3.2. წყალმომარაგება და წყალარინება

იმ მიზეზების გათვალისწინებით რომლებიც იწვევენ თბილისის წყლის რესურსების დეგრადაციას და არსებული სადამკვირვებლო ქსელის მდგომარეობიდან და შეზღუდული შესაძლებლობებიდან გამომდინარე, ძირითადი რეკომენდაციები, რომლებმაც შეიძლება გააუმჯობესოს არსებული სიტუაცია შემდეგია:

- სასურველია წყლის სინჯების აღების ქსელის გაფართოება ქალაქის სხვა ადგილებშიც, კერძოდ, სინჯების აღების წერტილების დამატება მტკვრის ძირითად შენაკადებზე (ვერეზე, დიღმისწყალზე, გლდანისხევზე და ლოჭინისხევზე). აღნიშნული პატარა მდინარეების ხეობები, ჯერ კიდევ შემორჩენილი

ბუნებრივი მცენარეული საფარით, პოტენციურ რეკრეაციულ ზონებად ითვლება. შესაბამისად, დიდი მნიშვნელობა აქვს ამ ადგილებში წყლის კარგი ხარისხის შენარჩუნებას;

- მონიტორინგის პროგრამაში ჩართული უნდა იქნეს სინჯების აღება პესტიციდების და ნავთობპროდუქტების გასაზომად, რათა გამოვლენილ იქნას სოფლის მეურნეობის, მრეწველობის და ტრანსპორტის სექტორების მიერ გამოწვეული დაბინძურება;
- GIS და GPS ტექნოლოგიების გამოყენებით უნდა მოხდეს მდინარე მტკვარში და მის შენაკადებში წყლის დაბინძურების წერტილოვანი წყაროების სრული აღწერა;
- ვინაიდან სრულმასშტაბიანი ქიმიური მონიტორინგი მნიშვნელოვან დაფინანსებასთან არის დაკავშირებული, შეძლებისდაგვარად, უფრო პატარა მდინარეებისა და სხვა წყლის ობიექტების ეკოლოგიური მდგომარეობის შესასწავლად გამოყენებული უნდა იქნეს ქიმიური და ბიოლოგიური მონიტორინგების კომბინაცია;
- შეძლებისდაგვარად, ყოველდღიურად და მინიმუმ საბანაო სეზონის დროს უნდა ჩატარდეს რეკრეაციული წყლების სისტემატიური ბაქტერიოლოგიური მონიტორინგი;
- უნდა განხორციელდეს პრევენციული ზომები წყალსაცავებში საქონლის ნაკელისა და მყარი ნარჩენების მოხვედრის აღსაკვეთად;
- და, რაც ყველაზე მეტად მნიშვნელოვანია, აუცილებელია სოლიდური ინვესტიციების მოზიდვა ქალაქის ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის, ჩამდინარე წყლების კოლექტორის და სადრენაჟე ქსელის რეაბილიტაციისათვის.

4.3.3. ნარჩენები

როგორც უკვე იყო აღნიშნული, ბოლო 5 წლის განმავლობაში თბილისში ნარჩენებთან დაკავშირებული მდგომარეობა მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა. თუმცა, კვლავ რჩება გადასაწყვეტი საკითხები როგორც სახელმწიფო, ისე მუნიციპალურ დონეზე.

პირველ რიგში, აუცილებელია სახელმწიფო სტრატეგიისა და პოლიტიკის შემუშავება ნარჩენების შესახებ და შესაბამისი სახელმწიფო კანონმდებლობის მომზადება. არსებული დებულებები, ძირითადად, მოძველებულია და საჭიროა მათი შესაბამისობაში მოყვანა ახლანდელ სიტუაციასთან და თანამედროვე სტანდარტებთან.

დღესდღეობით საქართველოში ნარჩენების რეგულირებაში მთავარი როლი გარემოზე ზემოქმედების ნებართვას ეკისრება. ამიტომ, მნი-

⁶¹ დღესდღეობით ჰაერის მონიტორინგის მონაცემები საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომია ორჰუსის ცენტრის ვებ-გვერდის საშუალებით. თუმცა, ეს ინფორმაცია ცენტრს მიეწოდება მხოლოდ თვეში ერთხელ. ამასთან, არასპეციალისტისთვის ძალიან ძნელია ან, უფრო მეტიც, შეუძლებელია მონაცემების ინტერპრეტაცია.

შენელოვანია, რომ ნებართვის სისტემა მაღალ დონეზე ფუნქციონირებდა. მწარმოებლის პასუხისმგებლობა ნარჩენებთან მიმართებაში ნათლად უნდა იყოს ასახული გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშებსა და სანებართვო პირობებში. ასევე, საჭიროა სანებართვო პირობების შესრულების მუდმივი მეთვალყურეობა, რაც ნებართვის სისტემის ერთ-ერთი მთავარი შემადგენელი ნაწილია. უნდა აღინიშნოს, რომ დღესდღეობით ის საქმიანობები, რომლებიც გარემოზე ზემოქმედების ნებართვას არ საჭიროებს, არც რაიმე სხვა რეგულაციებს ექვემდებარება ნარჩენების კუთხით. ეს საკითხი ასევე სათანადო გადაწყვეტას საჭიროებს. გარდა ამისა, მიზანშეწონილია მცირენარჩენიანი წარმოებების და ნარჩენების მეორადი გადამუშავების წახალისება საწარმოებებისთვის მატერიალური სტიმულირების მექანიზმის შემუშავების გზით.

2010 წლის ნოემბერში თბილისში დაიწყო ფუნქციონირება ახალმა სანიტარიულმა ნაგავსაყრელმა. ძალზე მნიშვნელოვანია, რომ უზრუნველყოფილი იყოს ახალი ნაგავსაყრელის სათანადო ოპერირება, გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშისა და ნებართვის პირობების შესაბამისად. სანებართვო პირობების დაცვის კონტროლი გარემოს დაცვის ინსპექციის პასუხისმგებლობაა. თუმცა ასევე მნიშვნელოვანია თბილისის მთავრობის როლი ნაგავსაყრელის ოპერირების კონტროლის საქმეში.

ძალიან მნიშვნელოვანია ძველი ნაგავსაყრელების სათანადო კონსერვაციის/აღდგენის უზრუნველყოფა იმისათვის, რომ აღმოფხვრილი/შერბილებული იყოს ნაგავსაყრელებიდან მომდინარე ეკოლოგიური საფრთხე. ამასთან ერთად, უნდა ტარდებოდეს ნიადაგის, ჰაერისა და მიწისქვეშა წყლების პერიოდული მონიტორინგი, ნაგავსაყრელებით გამოწვეული დაბინძურების შეფასებისა და შემარბილებელი ზომების დაგეგმვის/მორგების მიზნით.

ასევე საჭიროა, სახიფათო ნარჩენების გაუვნებელყოფის/გატანის თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარების ხელშეწყობა. მიზანშეწონილია სახიფათო მუნიციპალური ნარჩენების განცალკევებით შეგროვების სისტემის მოწყობა, იმისათვის, რათა თავიდან ავირიდოთ სახიფათო ნარჩენების ნაგავსაყრელზე განთავსება და უზრუნველყოთ ამ ტიპის ნარჩენების სპეციალური გაუვნებლება/განთავსება. სამედიცინო ნარჩენების რეგულირება/კონტროლი ასევე საჭიროებს გაუმჯობესებას. საავადმყოფოებში ნარჩენების შეგროვების/გაუვნებლების მოთხოვნები ასახული უნდა იყოს სამედიცინო ლიცენზიის მოთხოვნებში. დამატებით, საავადმყოფოებში მომსახურე პერსონალისათვის უნდა მომზადდეს ნარჩენების მართვასთან დაკავშირებული, კონკრეტული გეგმები და წესები.

4.3.4. მწვანე საფარი

ვინაიდან თბილისის მტკვრის გასწვრივ მთელ სიგრძეზე ფართოვდება და ვითარდება, ქალაქში თანაბრად განაწილებული ბუნებრივი ლანდშაფტების და გამწვანებული ზონების შენარჩუნება ძალიან რთულია. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია გამწვანებული ზონები და რეკრეაციული ტერიტორიები განვითარდეს მტკვრისა და მისი ძირითადი შენაკადების ორივე მხარეს, რომლებიც ქალაქის გარემომცველი მთების დაქანებულ ხევებში მიედინება. აღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქის გამწვანების პოლიტიკის ფუნქციონალურ რეგენერაციასთან დაკავშირებით ძირითადი რეკომენდაციები შემდეგია:

- ჩატარდეს გამწვანებული ზონების დეტალური აღწერა GIS სისტემის გამოყენებით პოტენციური გამწვანების ზონების პერსპექტიული დაგეგმვით და ქალაქის განვითარების „წითელი ზოლების“ საშუალებით შეზღუდვით;
- განისაზღვროს მუნიციპალური რეკრეაციული, სასოფლო-სამეურნეო, კომუნალური და კულტურულ-საგანმანათლებლო დანიშნულების ტერიტორიები;
- განვითარდეს არტერიული გამწვანების განშტოებები მდინარე მტკვრის და ქალაქის ძირითადი გამზირების ორივე მხარეს მათში პერპენდიკულარულად შეჭრილ უფრო პატარა დაქანებულ ხევებში გამდინარე მწვანე „ნაკადულებთან“ და მტკვრის შენაკადებთან ერთად;
- აშენდეს ბუნებრივად დამაკავშირებელი „ხიდები“ ქალაქის პარკებს, გამწვანებულ ზოლებს, რეკრეაციულ ზონებს და ა.შ. შორის (ადამიანების, ფლორისა და ფაუნის) თავისუფალი გადაადგილების მიზნით;
- დაიგეგმოს რეკრეაციული და კულტურული ლანდშაფტის ზონების დაუყონებლივი გაფართოება ლისის ტბის და თბილისის ზღვის მიმდებარე ტერიტორიების მიმართულებით;
- დაიგეგმოს პერსპექტიული გამწვანების კუნძულების მოწყობა რკინიგზის ზონის გადაკვეთაზე, რომელიც უნდა გამოთავისუფლდეს არსებული რკინიგზისა და შესაბამისი ინფრასტრუქტურის ქალაქის საზღვრებს გარეთ გადატანის შედეგად;
- გაიზარდოს ქალაქის ირგვლივ არსებული გამწვანებული ბუფერული ზონა; მოხდეს განაშენიანებული ტერიტორიის დაქანებული ფერდობების ადგილობრივი პირობების შესაბამისად გამწვანება;
- შემუშავდეს საკანონმდებლო ინიციატივები, რომელთა საფუძველზე ქალაქის გენერალურ გეგმაში და შესაბამის ნორმატიულ დოკუმენტებში

მენტებში მკაცრად იქნება განსაზღვრული მშენებლობის/განვითარების ლიმიტები და, რომლებსაც, შესაბამისად, შედეგად მოყვება გადაუდებელი ზომების გატარება იმისათვის, რათა მოხდეს ისეთი განვითარების პრევენცია რაც გარემოს ზიანის ხარჯზე მოხდება.

4.3.5. ხმაური

არსებულ მონაცემებზე დაყრდნობით შეიძლება დავასკვნათ, რომ დედაქალაქში ხმაურის ძირითადი წყარო ავტოტრანსპორტის მოძრაობაა. თუმცა, ხმაურის სრულყოფილი გამოძვები არ ხორციელდება და არ არის იდენტიფიცირებული ის ადგილები, სადაც საჭიროა ხმაურის დარეგულირება. ამიტომ, აუცილებელია თბილისში ავტოტრანსპორტის ნაკადების მოძრაობით წარმოქმნილი ხმაურის სრულფასოვანი შესწავლა და ქალაქის ხმაურის რუკის შექმნა. შემდგომ უნდა მოხდეს ხმაურის შემცირებისა და შემარბილებელი ღონისძიებების დაგეგმვა, სადაც ეს შესაძლებელია.

აუცილებელია გაუმჯობესდეს ავტოტრანსპორტისა და სამრეწველო სექტორიდან წარმოქმნილი ხმაურის სტანდარტების აღსრულება.

4.3.6. სტიქიური მოვლენები

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, სტიქიური მოვლენების ხელშემწყობი გეოლოგიური წინაპირობების განვითარების ალბათობა თბილისში არსებობს და ისინი ცნობილია. მოსალოდენლია, რომ პროგნოზირებული კლიმატის ცვლილება გაზრდის ექსტრემალური ამინდის სიხშირეს რეგიონში. თუმცა, გეო-დინამიკური პროცესების მასტიმულირებელი უფრო ძლიერი ფაქტორებია წყალმოვარდნები, ან დიდი რაოდენობით ნალექები და შედეგად წარმოქმნილი წყლის დინება, რომელიც ხდება დროის შედარებით მცირე მონაკვეთში, მაშინ, როცა დღიური ან თვიური გასაშუალოებული მაჩვენებლები ნორმალურ მდგომარეობას შეიძლება არ აჭარბებდეს. ასეთ შემთხვევებში, ადგილობრივი ნიადაგი და გეოლოგიური სტრუქტურები ვეღარ იწოვს ტენის დიდ რაოდენობას, რაც ღვარცოფებსა და მწყერებს იწვევს. შესაბამისად, სერიოზული შეცდომა იქნება თუ ქალაქის სენსიტიურ ადგილებში დაგეგმარებისა და მშენებლობის პროცესში არ ჩატარდება ახალი დეტალური გეოლოგიური საინჟინრო ექსპერტიზა. აღნიშნული ტერიტორიების შესახებ ინფორმაცია, რომელიც კარგად იყო შესწავლილი წარსულში, მუდმივ განახლებას საჭიროებს, ვინაიდან ვითარება უარესობისაკენ სწრაფად იცვლება. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, ფართომასშტაბიანი ჰიდრო-გეოლოგიური და საინჟინრო გეოლოგიური მონიტორინგის აღდგენა მთელი ქალაქის მასშტაბით.

4.3.7. გარემოსდაცვითი მმართველობა

გარემოსდაცვითი კანონმდებლობა და მასთან დაკავშირებული მმართველობა საქართველოში ზოგადად ძლიერ ცენტრალიზებულია. გარემოსდაცვის სამინისტრო გასცემს გარემოსდაცვით ნებართვებს, ახორციელებს გარემოს მონიტორინგს და სახელმწიფო გარემოსდაცვით კონტროლს. დედაქალაქში არ არსებობს სრულფასოვანი მანდატის მქონე სამსახური რომელიც შეიმუშავებს და განახორციელებს გარემოსდაცვით პოლიტიკას ქალაქის დონეზე. ასეთ სიტუაციაში მნიშვნელოვანია გარემოსდაცვითი პოლიტიკა გახდეს ზოგადი ურბანული დაგეგმარების დოკუმენტების ნაწილი. დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალურ გეგმაში მოცემულია გარემოსთან დაკავშირებული რიგი საკითხები, თუმცა აღნიშნული დოკუმენტი საკმაოდ ფართოა და დეტალურად არ ეხება სპეციფიურ გარემოსდაცვით პრობლემებს. მნიშვნელოვანია არსებობდეს უფრო საფუძვლიანი გარემოსდაცვითი პოლიტიკის დაგეგმარება, რომელმაც ასევე უნდა მოიცვას განხორციელების ფაზა, სადაც ნათლად იქნება მითითებული თითოეული დაგეგმილი ქმედების განხორციელებაზე პასუხისმგებელი სტრუქტურა.

გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს არსებობდეს კარგი კოორდინაცია ეროვნულ გარემოსდაცვით პასუხისმგებელ ორგანოებსა და გადაწყვეტილების მიმღებთა შორის მუნიციპალურ დონეზე, რათა უზრუნველყოფილ იქნეს გარემოსდაცვითი მოსაზრებების ინტეგრირება ქალაქისთვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღების დროს. ამასთან, როგორც უკვე ნახსენები იყო, აუცილებელია გაფართოვდეს და გაძლიერდეს გარემოსდაცვითი მონიტორინგის ქსელი და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, უზრუნველყოფილ იქნას მონიტორინგის მონაცემთა ინტერპრეტირება და მათი გამოყენება გარემოსდაცვით ინდიკატორებად, რათა გადაწყვეტილების მიმღებთათანადოდ დაგეგმონ და განახორციელონ შესაბამისი პოლიტიკა.

4.3.8. საერთაშორისო ქსელები და ფორუმები

როგორც წინა თავში იყო უკვე აღნიშნული თბილისის მერია არის **მერების შეთანხმების** წევრი. მერების შეთანხმება მოიცავს ადგილობრივ და რეგიონულ ხელისუფლებებს, რომლებიც იღებენ ვალდებულებას გაზარდოს ენერგოეფექტურობა და განახლებადი ენერგორესურსების მოხმარება და მიაღწიონ CO₂-ის 20%-ით შემცირებას 2020 წლისთვის. სხვა საერთაშორისო ქსელები და ფორუმები, რომლებიც შეეხება ურბანულ მდგრადობას, როგორიცაა მაგალითად ICLEI, CIVITAS, Aalborg ქარტია, დაბალი გაფრქვევის ზონები ა.შ.

შეიძლება ასევე საინტერესო იყოს თბილისის მერიისთვის.

ICLEI – ადგილობრივი მთავრობები მდგრადობის მისაღწევად წარადგენს ასოციაციას, რომელშიც გაერთიანებულია 70 ქვეყნის 1 220-ზე მეტი ადგილობრივი ხელისუფლება, რომელიც მდგრადი განვითარების მიმდევარია. ICLEI უზრუნველყოფს ტექნიკური კონსულტაციის, ტრენინგის და ინფორმაციის სერვისს რათა გაუზიაროს ცოდნა, უნარების და მხარი დაუჭიროს ადგილობრივ მთავრობას ადგილობრივ დონეზე მდგრადი განვითარების განხორციელებაში.⁶²

The CIVITAS ინიციატივის (“ქალაქი-სიცოცხლისუნარიანობა-მდგრადობა” ან “სუფთა და უკეთესი ტრანსპორტი ქალაქებში”) მიზანია ხელი შეუწყოს ქალაქებს დანერგონ სატრანსპორტო სისტემასთან დაკავშირებული ამბიციური ღონისძიებები და პოლიტიკა მდგრადი ურბანული მობილურობისათვის. **CIVITAS-ი** სთავაზობს მხარეებს თითოეული მონაწილის დაგროვილი ცოდნის, გამოცდილების და მიღებული გაკვეთილების გაზიარებას.⁶³

Aalborg ქარტია იძლევა ჩარჩოს ადგილობრივი მდგრადი განვითარებისთვის მსოფლიო მასშტაბით. ქარტია განსაზღვრავს ქალაქებისა და ადგილობრივი ხელისუფლების პასუხისმგებლობებს მდგრად განვითარებასთან მიმართებაში. ქარტიაში გაერთიანებულია 2 500-ზე მეტი ადგილობრივი ხელისუფლება ევროპის 39 ქვეყნიდან.⁶⁴

ამ ან/და სხვა საერთაშორისო ქსელების და ფორუმების წევრობა შესაძლოა დაეხმაროს თბილისის მერიას უფრო მდგრად ურბანულ განვითარებაში, რაც საბოლოოდ სასარგებლო იქნება თბილისისა და მისი მოქალაქეთათვის.

4.4. გარემოსდაცვითი პოლიტიკის სარგებელი – რატომ უნდა გახდეს თბილისი უფრო მწვანე ქალაქი?

ურბანული განვითარების გამოწვევებისა და მათი მართვის სირთულიდან გამომდინარე, აუცილებელია, რომ პოლიტიკის განმსაზღვრელ სტრუქტურებს სრული წარმოდგენა ჰქონდეთ იმაზე, თუ რა შედეგები შეიძლება მოჰყვას დღევანდელ გადაწყვეტილებებს მომავალში სხვადასხვა სექტორისათვის. მომავალი განვითარების რისკების მინიმუმამდე შემცირების მიზნით თანამედროვე დაგეგმვისა და მართვის სფეროებში გამოიყენება სხვადასხვა წინ-მჭვრეტი მეთოდები. მათ შორის არის მომავალი განვითარების სცენარები, რომელიც არის დასაბუთებული ალწერა მომავლის სავარაუდო განვითარებისა

62 <http://iclei.org/>
63 www.civitas-initiative.org
64 <http://sustainable-cities.eu/>

საკვანძოურთიერთკავშირების დამამოძრავებელი ძალების შესახებ ლოგიკური და თანმიმდევრული ვარაუდების საფუძველზე”.⁶⁵ GEO-ქალაქები თბილისი ანგარიშის (სრული ვერსიის) მე-7 თავი განიხილავს გამოწვევების შედეგებს თბილისის გარემოს განვითარების სხვადასხვა სცენარების გათვალისწინებით. ალტერნატივების აღწერით, რომლებიც შეიძლება განვითარდეს არსებული სიტუაციიდან, სცენარების თავი მიმოიხილავს იმ სარგებელს რომელიც გამომდინარეობს გარემოსდაცვითი და სოციალური ფაქტორების ინტეგრაციით ეკონომიკური და ურბანული განვითარების პოლიტიკაში. ის აჩვენებს, რომ ქალაქის განვითარების მდგრადმა დაგეგმვამ შეიძლება თავი გაართვას ისეთ გამოწვევებს, როგორცაა მოსახლეობის ზრდა და მასთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურული მშენებლობები.

სცენარების თავის მიხედვით, მდგრადი ურბანული დაგეგმარების შედეგად განაშენიანებული საერთო ტერიტორია ქალაქში არ გაიზრდება. ამასთან, თავიდან იქნება აცილებული მაღალი შენობების კონცენტრაცია ქალაქის ცენტრში. ეროზირებული ტერიტორიების აღდგენით შეიქმნება დამატებითი სარეკრეაციო ტერიტორიები. მიწის გამოყენების მდგრადი მართვა ხელს შეუწყობს ძველი თბილისის ლანდშაფტების ტრადიციული მოზაიკის აღდგენას. მოხდება გამწვანებული ტერიტორიებისა და რეკრეაციული ინფრასტრუქტურის განვითარების გაზრდა. ზოგადად გარემოს მდგომარეობა ქალაქში გაუმჯობესდება, ჰაერის ხარისხის ჩათვლით, რაც მოხდება სათანადო ინფრასტრუქტურის მოწყობით, საზოგადოებრივი ელექტრო ტრანსპორტის განვითარებით, მოძრაობის დარეგულირებით, მანქანებისაგან თავისუფალი ზონების და ველოსიპედების ბილიკების შექმნით და კატალიზური გარდამქმნელის არმქონე ავტომანქანების აკრძალვით. წყლის რესურსების მდგრადი მართვა უზრუნველყოფს ზედაპირული და მიწისქვეშა წყლების დაშრეტის პრევენციას. თბილისის წყალმომარაგების სისტემაში განხორციელებული რეფორმების, წყლის დამზოგავი მოწყობილობების გამოყენების და ცენტრალური წყალმომარაგების სისტემაში წყლის გაფორმების აღმოფხვრის გამო წყლის დღიური მოხმარება ერთ სულ მოსახლეზე შემცირდება. წყლის სერვისების დანახარჯების სრული ანაზღაურება უზრუნველყოფს ჩამდინარე წყლების სრულ გაწმენდას.

მიუხედავად იმისა, რომ გარემოსდაცვითი პოლიტიკის განხორციელება ერთი შეხედვით ძვირადღირებული ჩანს, მისი თანხლები სარგებელი აკომპენსირებს ამ დანახარჯებს საშუალო და ხანგრძლივადიან პერსპექტივაში. ფაქტობრივად, გარემოს დაცვაში ინვესტირება ხელსაყრელია ეკონომიკისათვის და ამცირებს

65 Leemans, R. Scenarios of a Sustainable and Desirable Future: Lessons from the Millennium Ecosystem Assessment. Power point presentation, February 2, Burlington, VT, USA.2006.

ბიუჯეტის დანახარჯებს. ეს იმიტომ ხდება, რომ ზოგადად, გარემოს დეგრადაციის თავიდან აცილება უფრო ნაკლებ ხარჯს მოითხოვს ვიდრე მის შედეგებთან გამკლავება. გარდა ამისა, მრავალი მუნიციპალური აქტივობა სარგებლის მომტანია გარემოსათვის, მაშინაც კი, როცა ეს არ იყო ამ აქტივობების თავდაპირველი მიზანი. მაგალითად, ტრანსპორტის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება სატრანსპორტო საშუალებების ტექნიკური მდგომარეობის გაუმჯობესების გზით, რაც ტექნიკური სტანდარტების შემოღებითა და აღსრულებით განხორციელდება; საწვავის ხარისხის სტანდარტების აღსრულება; ტრანსპორტის მოძრაობის რეგულაციის გაუმჯობესება; ელექტრო-ტრანსპორტის შემოყვანა; ახალი და საწვავის დამზოგავი მანქანების წახალისება და სხვ. უზრუნველყოფს უფრო კომფორტულ, დროის დამზოგავ და უსაფრთხო ტრანსპორტირებას მოქალაქეებისათვის; ნაკლები საცობების წარმოქმნას; და ხმაურის და ჰაერის დაბინძურების შემცირებას. ეს ყველაფერი თავის მხრივ, გამოიწვევს ადამიანის ჯანმრთელობის გაუმჯობესებას და შეამცირებს ჯანდაცვის ხარჯებს.

ქალაქში და მის შემოგარენში არსებული მწვანე საფარი ასრულებს ნახშირბადის შთანთქმის ფუნქციას, ასევე ეს არის ჰაბიტატები, დასასვენებელი და ტურისტული დანიშნულების ადგილები. გარდა ამისა, მწვანე საფარი მნიშვნელოვან როლს ასრულებს ჰაერის ფილტრაციაში, ჟანგბადის მიწოდებასა და ხმაურის შემცირებაში. მწვანე საფარის დაცვა და გაფართოება ხელს შეუწყობს უფრო სუფთა ჰაერის და უფრო სასიამოვნო და ნაკლებად სტრესული გარემოს შექმნას ქალაქის მცხოვრებთათვის და ვიზიტორებისათვის. დასასვენებელი ინფრასტრუქტურა კი შეიძლება იყოს დამატებითი შემოსავლის და სამუშაო ადგილების შექმნის წყარო.

მდგრადი ურბანული დაგეგმარება წარმატებული ქალაქის ერთ-ერთი წინაპირობაა. ცუდად დაგეგმარებული ურბანული დასახლება შეუძლებელს ხდის ქალაქის გაფართოებას. ქალაქის მდგრადი ზრდა, მაღალსართულიანი შენობების მშენებლობის შეზღუდვა ქალაქის ცენტრალურ უბნებში და მდინარე მტკვრის გასწვრივ ხელს შეუწყობს ძველი ქალაქის აუთენტურობის შენარჩუნებას და ჰაერის ნაკადების ბუნებრივ მოძრაობას. ასევე, ინფრასტრუქტურის სათანადო დაგეგმვა და მშენებლობა, ბუნებრივი სტიქიური მოვლენების მიმართ სენსიტიური ადგილების გათვალისწინებით, უზრუნველყოფს უფრო მეტად უსაფრთხო ფიზიკურ გარემოს შექმნას და დაზოგავს სტიქიურ მოვლენებთან დაკავშირებულ ხარჯებს.

წყლის კარგი ხარისხის უზრუნველყოფა აისახება ჯანმრთელობის გაუმჯობესებაზე და შეამცირებს ჯანდაცვის ხარჯებს. ასევე, სუფთა და ჯანსაღი სარეკრეაციო ტბები პოპულარული დასასვენებელი ადგილები გახდება.

ენერგოეფექტურობის გაუმჯობესება, ენერჯის მოხმარების გონივრული აღრიცხვა, ოფისებსა და მრეწველობაში ენერგოსერტიფიცირების მოთხოვნები და უფრო მეტი განახლებადი ენერგორესურსების გამოყენება შეამცირებს ნახშირბადის ემისიებს და, ასევე შეამცირებს ენერგომოხმარების ხარჯებს შინამეურნეობებისა და მრეწველობისათვის. დამატებით, ეს ხელს შეუწყობს ენერჯიაზე გამრდილი მოთხოვნის და ნავთობის მარაგები შემცირების კომპენსირებას.

ნარჩენების მართვის მდგრადი მეთოდების უფრო მეტად გამოყენება, როგორცაა პრევენცია, ხელმეორედ გამოყენება და რეციკლირება არა მხოლოდ ამცირებს მავნე ნივთიერებების გარემოში ემისიას, არამედ ასევე ამცირებს ნარჩენების განთავსების ხარჯებს და გამოყენებული ნედლეულის რაოდენობას.

„კარგი გარემოსდაცვითი მმართველობის“ განუყოფელი ნაწილია მოქალაქეების მონაწილეობა. მოქალაქეების საჭიროებათა მხედველობაში მიღებას შედეგად მოაქვს უკეთესი პოლიტიკის შემუშავება, ამ პოლიტიკის მისაღებობის უზრუნველყოფა და ამდენად, მისი განხორციელების გაუმჯობესება.

ადგილობრივ მთავრობას უზარმაზარი გავლენა გააჩნია ორმხრივად სარგებლის მომტანი ურბანული სივრცის და ბუნებრივი გარემოს ურთიერთობის განვითარებაზე, რომელიც მიმართულია ქალაქის ბუნებრივი სიმდიდრეების გონივრული გამოყენებისაკენ და ამავდროულად, ამცირებს ურბანული განვითარების ტვირთს მის შემოგარენზე. ეფექტურ ადგილობრივ მმართველობას ქალაქები შეუძლია გახადოს უფრო ეფექტური და კონკურენტუნარიანი. ზოგადად, გარემოსდაცვითი პოლიტიკის ინტეგრირება წარმოქმნის ფართო შესაძლებლობებს თვითკმარი განვითარებისათვის, დაბალანსებული ეკონომიკით და სოციალური და გარემოსდაცვითი პოლიტიკით. უმჯობესდება ცხოვრების ხარისხი ქალაქისა და ქალაქის უმეტესი მცხოვრებლებისათვის და ამასთან ერთად, ასეთი ქალაქები, რომლებიც გვთავაზობენ მეტ უსაფრთხოებას, გამართულ ინფრასტრუქტურას და სასიამოვნო გარემოს, ხდებიან უფრო მიმზიდველი ტურისტების, საერთაშორისო პროფესიონალების და ინვესტორებისათვის.

გამოყენებული ლიტერატურა

საკანონმდებლო აქტები

კონვენცია გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და ამ სფეროში მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის 1998, საქართველოს მიერ რატიფიცირებულია 2000 წელს.

საქართველოს კონსტიტუცია, 1995 წლის 24 აგვისტო.

საქართველოს ორგანული კანონი ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ, 2005 წლის 16 დეკემბერი.

საქართველოს კანონი საქართველოს დედაქალაქის – თბილისის შესახებ, 1998 წლის 20 თებერვალი.

საქართველოს კანონი გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ, 14 დეკემბერი, 2007.

საქართველოს კანონი საქართველოს ტერიტორიაზე ნარჩენების ტრანზიტისა და იმპორტის შესახებ, 16 ნოემბერი, 1997.

საქართველოს კანონი ნორმატიული აქტების შესახებ, 2009 წლის 22 ოქტომბერი.

საქართველოს კანონი საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ, 1997 წლის ოქტომბერი.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, 1999 წლის 25 აგვისტო.

საქართველოს საარჩევნო კოდექსი, 2001 წლის 2 აგვისტო.

ქ. თბილისის საკრებულოს გადაწყვეტილება №6-17, 2009 წლის 5 ივნისი, დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ.

ქ. თბილისის საკრებულოს გადაწყვეტილება №7-38, 2011 წლის 24 ივნისი ქ. თბილისი, დედაქალაქის დაგვა-დასუფთავების და ნარჩენების მართვის მომსახურების ტარიფის (საფასური) და მისი გადახდის წესის დადგენის შესახებ.

ქ. თბილისის საკრებულოს 2010 წლის 18 ნოემბრის გადაწყვეტილება №12-72 ქ. თბილისის 2011 წლის ბიუჯეტის შესახებ.

ქ. თბილისის მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახურის დებულება, დამტკიცებულია ქ. თბილისის მერიის №38 ბრძანებით 2009 წლის 27 ივლისს.

ქ. თბილისის საკრებულოს 2010 წლის 27 დეკემბრის №14-83 გადაწყვეტილება, "ქ. თბილისში დასუფთავების მოსაკრებლის შემოღებისა და დასუფთავების მოსაკრებლის გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის საკრებულოს 2007 წლის 8 მაისის №6-34 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის 2001 წლის 23 ოქტომბრის ბრძანება №91, ნავაგსაყრელების ექსპლუატაციისას ატმოსფერული ჰაერის დაცვის წესების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2001 წლის 16 აგვისტოს ბრძანება №297/6 "გარემოს ხარისხობრივი მდგომარეობის ნორმების დამტკიცების შესახებ."

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2003 წლის 24 თებერვლის ბრძანება №36/6 მყარი საყოფაცხოვრებო განაყრების პოლიგონების მოწყობისა და ექსპლუატაციის სანიტარული წესებისა და ნორმების დამტკიცების შესახებ.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2003 წლის 6 ოქტომბრის ბრძანება №236/6 „საწარმოების, ნაგებობებისა და სხვა ობიექტების სანიტარული დაცვის ზონებისა და სანიტარული კლასიფიკაციის დამტკიცების შესახებ.“

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2001 წლის 16 აგვისტოს ბრძანება №300/6 სამკურნალო პროფილაქტიკური დაწესებულებების ნარჩენების შეგროვების, შენახვისა და გაუვნებლების სანიტარული წესების დამტკიცების შესახებ.

ბუბლიკაციები

„გამა“, სამეცნიერო-კვლევითი ფირმა, ქ. თბილისის მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების პოლიგონის მშენებლობის და ექსპლუატაციის ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების პროექტი, თბილისი, 2010.

ლეჟავა ვ. ქ. თბილისის ეკოლოგიური დაგეგმარება, ქ. თბილისი, 2003.

მარულაშვილი ლ. საქართველოს ფიზიკური გეოგრაფია, თსუ-ს გამოცემა, თბილისი, 1964.

მარულაშვილი ლ. ქვემო ქართლის გეომორფოლოგია და პალეოგეოგრაფია, საქართველოს სსრ-ს მეცნიერებათა აკადემიის გეოგრაფიის ინსტიტუტის გამოცემა, VIII ტომი, თბილისი, 1957.

მელიქიძე გ. და სხვ. „ჰიდროდინამიკური მოდელის განვითარება თბილისის გეოთერმული წყლების საბადოებისათვის ლისისა და საბურთალოს რაიონებში“, თბილისი, 2010.

საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტრო, ეროვნული ანგარიში საქართველოს გარემოს მდგომარეობის შესახებ, 2007-2009, თბილისი, 2011.

საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტრო, ეროვნული გარემოსდაცვითი მოქმედებათა გეგმა, თავი წყლის რესურსების მართვის შესახებ, სამუშაო ვერსია, 2010.

საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტრო, საზოგადოებრივი საბჭოს სხდომების ოქმები №1-№4. http://moe.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=73

საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტო. მთავარი რესპუბლიკური საავადმყოფო. თბილისი, საქართველო. 2009 წლის ნოემბერი. http://uk.mfa.gov.ge/files/uk/Tbilisi,_Georgia_-_Republican_Hospital.pdf

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, ვახუშტი ბაგრატიონის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტის ეკონომიკურ – გეოგრაფიული გამოკვლევა “თბილისი” გამომცემლობა საბჭოთა საქართველო 1989.

საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი, ბიულეტენი №100, 2006 წლის დეკემბერი, ალექსანდრე მინდორაშვილის სტატია: ეკოლოგიური მდგომარეობა საქართველოში და დაკავშირებული სოციალური პრობლემები.

საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი, ბიულეტენი №106, 2007 წლის დეკემბერი, ავთო ბუდალაშვილის სტატია: ჰაერის ხარისხი და ჰაერში ემისიის წყაროები. <http://aarhus.ge/index.php?lang=eng&page=243>

საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი, ბიულეტენი №80, 2003 წლის სექტემბერი, მარიამ შოთაძის სტატია: თბილისში ატმოსფერული ჰაერის დაბინძურება – პრიორიტეტული ეროვნული პრობლემა.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტრო, ეროვნული ჯანდაცვის სისტემის ანალიზის ანგარიში 2001-2007 წწ., 2009. <http://www.moh.gov.ge/>

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს კვლევა „სამედიცინო ნარჩენების მართვის რეგულირების სისტემის გაუმჯობესება საქართველოში – სამედიცინო ნარჩენების მართვასთან დაკავშირებული სიტუაციის ანალიზი“, 2008.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, წლიური სტატისტიკური ჟურნალი, 2009 – ჯანმრთელობა და ჯანდაცვა საქართველოში, 2010.

სიღამონიძე შ., “ავტორანსპორტის გამონაბოლქვი, გარემო და ადამიანი”, თბილისი 2002.

ქართული ენციკლოპედია, საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, თბილისი, 2002.

ქ. თბილისის ისტორია, ტომი I, ქ. თბილისი, “მეცნიერება”, 1987.

ქ. თბილისის მერია, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების რეგულირების კომიტეტი, “თბილისის გარემოს ეკოლოგიური მდგომარეობა” 2000.

ქ. თბილისის მერია, დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის მოსამზადებელი დოკუმენტი, 2009.

ქ. თბილისის მერია, ეკონომიკური პოლიტიკის საქალაქო სამსახური, თბილისის მაჩვენებლები, 2010

ქ. თბილისის მერია, მდგრადი ენერჯის სამოქმედო გეგმა, დამტკიცებულია 2011 წლის 28 მარტს, გადაწყვეტილებით № 07.10.237.

ქ. თბილისის მერია, თბილისი – ქალაქის განვითარების სტრატეგია – ქალაქის პროფილი, 2011.

ქ. თბილისის მერია, თბილისის ათასწლეულის განვითარების მიზნების ანგარიში, თბილისი, საქართველო, 2007. „შპს პოლიგრაფ +“.

ქ. თბილისის მერია, თბილისის ეკონომიკური განვითარების გეგმა. ადგილობრივი ეკონომიკის შეფასება, 2007. <http://www.tbilisi.gov.ge/>

ქ. თბილისის მერია, თბილისის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმა, 2009. <http://www.tbilisi.gov.ge/>

ქ. თბილისის მერია, ურბანული დაგეგმარებისა და განვითარების მუნიციპალური სამსახური, თბილისის ურბანული განვითარების შეჯამებული კონცეფცია, პროექტის გეგმა, თბილისი, 2003.

ჯავახიშვილი ივ., თბილისი 12 ტომად, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემია, 1982, ტომი.

AEA Technology, Technical Assistance with Development of Air Quality management Plan and Health Effect Study for Tbilisi — Final report, 2002.

Antadze Nino, Gugushvili Tamar, Characteristics of the waste management system in Tbilisi, Georgia, case study, December 2006.

Blumenrother, G., “Analysis of the waste produced in Tbilisi”, 2003.

Campbell Scientific, Inc., Application Notes, 2001–2002. Logan, Utah. <http://www.campbellsci.com/documents/technical-papers/heatindx.pdf>

Carpenter S.R. and others, Ecosystems and human well-being: Scenarios, Volume 2, Island-press 2005.

EEA/OPOCE, Europe’s Environment, the fourth assessment, 2007.

Environment Performance Review of Georgia, UNECE, New York and Geneva 2003 and 2010. www.unece.org

European Environment Agency (EEA), the European environment – state and outlook 2010: synthesis, Copenhagen.

European Commission, Cohesion Policy and cities: the urban contribution to growth and jobs in the regions. COM (2006) 385 final, 2006. <http://eur-lex.europa.eu>

European Commission, Europe 2020 Strategy. www.ec.europa.eu/europe2020/

European Commission, The Green Paper towards a new culture for urban mobility. COM (2007), 2007. <http://eur-lex.europa.eu>

European Commission, Lisbon Strategy 2000/2010. www.ec.europa.eu/information_society/Europe/2010/ect_and_Lisbon/

European Commission, Thematic Strategy on the Urban Environment, COM (2005), 2006.

European Council, Renewed EU Sustainable Development Strategy, Brussels, 2006.

European Council Directive 91/271/EEC of 21 May 1991 concerning urban waste-water treatment.

European Parliament, Committee on Regional Development, Kallenbach, G., Report on the follow-up of the territorial agenda and the Leipzig Charter: towards a European action programme for spatial development and territorial cohesion, 2008.

European Union, Treaty on European Union, EU Official journal C 191, 29 July, 1992. <http://eur-lex.europa.eu>

Georgian–German Technical Collaboration, Situation Analysis of the Waste Management Sector in Tbilisi and Recommendations for its improvements, 2003.

German Agency for International Cooperation (GIZ), Tbilisi Waste Management Concept, 2006.

International Energy Agency, World Energy Outlook 2008, Geneva 2008. <http://www.iea.org/>

Leemans, R. Scenarios of a Sustainable and Desirable Future: Lessons from the Millennium Ecosystem Assessment, power point presentation, Burlington, VE USA, 2 February 2006.

NORCE and MEP, 2000. The Norwegian Consortium for Energy and Environment — NORCE in Association with the Ministry of Environment of Georgia (MEP), UNDP/UNOPS, GEO 2110, Country Programme for Phasing out of Lead in Gasoline in Georgia. Volume 1: Assessment of the Existing Situation and Development of Baselines, Final Report, Tbilisi, Georgia, 2000.

OECD Environmental Outlook to 2030, 2008.

OECD, Financial Strategy for W&WW Sector in Georgia, 2005.

Peel, Quentin, Looking back to the glory days. Published: October 31 2007 06:07. Financial Times. <http://www.ft.com/cms/s/0/eb3c5e44-86a3-11dc-a3ff-0000779fd2ac.html?iexzz1FkK2nR79>

UNDP, Human Development report: Georgia 1997, Publishing House Nekeri, Tbilisi, 1997.

UNDP, Georgia Human Development Report 2008: The Reforms and Beyond, Tbilisi, 2008.

UNDP/ENVSEC project: Regional Climate Change Impacts Study for the South Caucasus Region, 2010, Draft paper on Calculation and Processing of the Heat Index values for Tbilisi.

UNDP, Second National Communication to the UNFCCC of the Ministry of Environment of Georgia, Tbilisi, 2009.

UNECE, Guidelines for the Preparation of Indicator-Based Environment Assessment Reports in Eastern Europe, Caucasus and Central Asia, 2007.

UNECE, Major findings of the assessment of transboundary rivers, lakes and ground waters in the Caucasus, Draft, July 2010.

UNEP, Global Environmental Outlook 3 and 4. www.unep.org/

UNEP, New Media Tbilisi, Caucasus Environment Outlook (CEO) 2002. www.grid.unep.ch/product/publication/CEO-for-internet/

UNEP/GRID-Arendal, Tbilisi State of Environment Report, 2000. www.ceroi.net/reports/tbilisi

UNEP, UNECE, UN-HABITAT, Local action for biodiversity, 2008.

UNEP, Environment and Security: Transforming Risks into Cooperation “The Case of the Southern Caucasus” 2004.

UNEP. Methodology for the Preparation for the GEO Cities Reports. Training manual 3. 2009.

WMO/UNEP, Emissions Scenarios. Summary for Policymakers/IPCC Special Report, 2000.

ინტერვიუები

ბაკურაძე დავითი, თბილისის დასუფთავების საქალაქო სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი, პერსონალური ინტერვიუ, 2010 წლის 4 ნოემბერი.

ბენდელიანი ეკა, გარემოს დაცვის სამინისტროს საზოგადოებასთან უფროსის სამსახურის უფროსი. პერსონალური ინტერვიუ, 2011 წლის 26 დეკემბერი.

ბოჭორიშვილი ლიკა, შპს "ექსპრეს დიაგნოსტიკა" დირექტორი. პერსონალური ინტერვიუ, 2010 წლის 30 დეკემბერი.

გიუაშვილი ნია, დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის არაგადამდები დაავადებებისა და გარემოს ჯანმრთელობის განყოფილების უფროსი, პერსონალური ინტერვიუ, 2010 წლის 28 დეკემბერი.

გოგიშვილი თეიმურაზი, სტატისტიკის ეროვნული სამსახური, აღმასრულებელი დირექტორის აპარატის მრჩეველი, პერსონალური ინტერვიუ, 2010 წლის 26 დეკემბერი.

მაკაროვა მარინა, საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტროს წყლის რესურსების მართვის სამმართველოს უფროსი, პერსონალური ინტერვიუ, 2010 წლის 17 ნოემბერი.

ჩაჩანიძე გიორგი, თბილისის საკრებულოს გარემოს დაცვით კომისიის თავმჯდომარის მოადგილე. სატელეფონო ინტერვიუ, 2011 წლის 18 მარტი.



ბატია ფსუტურის ფოტო
Photo by Khatia Psuturi

GEO-Cities Tbilisi

Executive Summary for Decision-makers

December 2011

The content and views expressed in this publication are those of the authors and do not necessarily reflect the views or policies, or carry the endorsement of the contributory organisations or the United Nations Environment Programme (UNEP). The designations employed and the presentation of material in this publication do not imply the expression of any opinion whatsoever on the part of UNEP concerning the legal status of any country, territory or city or its authorities, or concerning the delimitation of its frontiers and boundaries. Reference to a commercial company or product in this publication does not imply the endorsement of UNEP.

The views, findings, interpretations and conclusions expressed herein are these of the authors and contributors and do not necessarily reflect the views or policies of the OSCE and its participating States. The designations employed and the presentation of material in this publication do not imply the expression of any opinion whatsoever on the part of the OSCE concerning the legal status of any country, territory or city or its authorities, or concerning the delimitation of its frontiers and boundaries. The OSCE does not accept any liability for any damage or loss which may arise out of the reliance on information contained in this publication.

